



# ნოჯისური

ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე,  
მძინარეც ამას ვდუდუნებ  
ვაჟა-ფშაველა

ლიტერატურული გაზეთი № 23

დ. ვ. ი. ნ. ბ. ი. ს. თ. ვ. ე. 2011

## დიდგორი — 890



1121 წლის 12 აგვისტოს დავით აღმაშენებელი იხდის ყველაზე დიდ ბრძოლას — დიდგორს. აქ იგი 56 000 მეომრით ანადგურებს მასპაღინათა კოალიციურ 400000-იან ჯარს.

\* \* \*

„...და შეიყარა „ყოველი თურქობა“ და წამოვიდა საქართველოს „ერთჯერ და სამუდამოდ“ წასახდენად. 400 000 თურქი მოქარუნობდა. მთავარსარდლად ნეჯმ ად-დინ ილღაზი მოუძღოდა.

დავით აღმაშენებელიც ელოდა მტერს. ელოდა 55-56 ათასი მეომრით: 40 000 ქართველი, 15 000 ყივჩაღი, 500 ოვსი და 100 ფრანგი — ჯვაროსანი...

...დაიხ, დიდგორი შეიქნა სახელოვანი ბრძოლის ნიადაგი, ხოლო ნათლია — დავით აღმაშენებელი. ასე ისურვა, გადაწყვიტა და

განასრულა...

...დავით აღმაშენებელმა გადაწყვიტა ომის ღმერთისთვის ძალისძალად გამოეგლიჯა ხელიდან ბრძოლის სასწორი, რომელზეც ოთხასი ათასი თურქისა და ორმოცდათხუთმეტი ათასამდე ქართველის სიცოცხლე ქანაობდა...

ჯარი საომრად დაალაგა და სიტყვით მიმართა: „ეჰა, მეომარო ქრისტესანო! თუ ქვეყნისა და სჯულის გადასარჩენად კვლავ ვაუკაცურად ვიბრძობებო, არამცთუ თურქთა, ეშმაკის ამა მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკთა მხედრობასაც ადვილად დავამარცხებთ. მაშ ვილოცოთ სამშობლოსა და ქრისტესათვის და ფიცი დავდოთ, რომ აქ, ბრძოლის ველზე უფრო დავიხოცებით, ვიდრე აქედან შერცხვენილი გავიქცევით. ახლა კი ამ ხეობის შესავალი, რომლითაც აქ შემოვსულვართ, ხეთა ხშირი ხორგებით შევკრათ, ვინძლო ვისმეს გულში ჩარჩენილი გაქცევის სურვილი ამით ამოიქოლოს. მაშ, გაემზადეთ ძმანო და შეიღწო, ქრისტესთვის და საქართველოსთვის.“

ასეც მოქცნენ — ხევში შესასვლელი ხეებით ჩახერგეს და საომრად შეიმართნენ.

...საშინელი ხოცვა-ჟლეტა თავიდანვე ქართველთა ძლევამაუწყებლობით წარიმართა. გადაწყვეტენ ჟამს ბრძოლას ჩაეჭრა ქართული მხედრობის საგანგებო ნაწილი, რომელსაც დავითის მამაცი ძე, დემეტრე ბატონიშვილი მიუძღოდა...

ბრძოლა დამთავრდა... თურქთა უზარმაზარი არმია თითქმის სულ განყდა. „აღივსნეს ველნი, მთანი და ლეღენი მათის მძორებითა.“ ხოლო, ვინც გაქცევა მოასწრო იმათ რვა დღეს სდიეს ცხენოსანმა ქართველებმა, მანამ, სანამ საქართველო-სომხეთის საზღვრებიდან არ გადარეკეს...“

ლევან სანიკიძე  
„დედა ისტორია.“

## დიდგორი


ვით მღვრიე ტალღები, შეიხნი, ხოჯები, ვამპირულ ცოფით და სატანურ ლოჯებით აღიძვრნენ, უძლოდათ მხერათა მზარავი არაბულ ტაიფით მქროლავი არავი. დუშმანს გაეგება დავით თოროსანი, მესსისი ელვა და ედემის სოსანი. და ბოცომკალივით მომდგარი საჰარა

მკლავზე დაიგრიხა, მშვილდით ნახარა. გულდაგულ შემუსრა მტარვალთა კერპები გველს და ბასილისკოს დაასო ტერფები, ბაღდადურ ღრინაკალს დასთხარა ჭანგები, იდიდოს მადლი და კურთხევა განგების! აქეთ იყალთოთი, იქეთ გელათითა, მაცხოვარ, მან შენი სახელი ადიდა, აღსავლის კარიდან ასტყორცნა არწივი, ზეცას დაუბრუნდა სერაფიმ-ბარძიმი.

მერაბ კოსტავა

## საქართველოს ეროვნული გმირის — მერაბ ივანეს ძე კოსტავას მკვლელობიდან 22 წელი გავიდა.

### ერისკაცის დაღუბვა




კიდევ ერთი ერისკაცი მიიტაცა თანატოსმა, სუსხიანი ფრთა შემოჰკრა მონამეთა თანატოლსა. დღეს, რვაფეხა რომ ეხვევა საცეცხებით საქართველოს და ჰერაკლეს ჰიდრა ცდილობს წმინდა მიწა გადათელოს, ბრალია და გულსატკეპნი გამოკლება კარგი ყმისა, ვისაც ჰქონდა შემართება ენგურის და არაგვისა. მაგრამ ვინმეს თუ ახარებს ღირსეულთა აღსასრული, ნუ იჩქარებს, გასწორდება წელში ერი დაღდასმული, და ნურც მეთად იზიემებს ყვაფ-ყორანთა შავი დასი, საქართველოს საკორტეხლად შემოყრილი შურის მთაზე. რაც არ უნდა გაუჭირდეს, რაც გინდ ბედი დანავსოდეს, საქართველო არც მომკვდარა, არც მოკვდება არასოდეს, და კიდევაც დაიზრდება ბევრი ლეკვი ალგეთისა, არ დაშრება არასოდეს სისხლი ძველი არგვეთისა. ნუ იდარდებს დედაშენი, ჰყავდი შვილი სასახელო — შენს ამავსაც გაიხსენებს უბორკილო საქართველო.

აკაკი გელოვანი

740 წლის წინ, 1271 წელს, აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო ტახტზე მონღოლთა მბრძანებელმა აბაღა ყაენმა დაამტკიცა დავით VII ულუს 11 წლის ძე — დემეტრე მეორე (1271-1289), რომელსაც საისტორიო ფორტუნისაგან მამულისათვის წამებული გმირის სახელი ელოდებოდა...

...არღუნ ყაენის წინააღმდეგ შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ დემეტრე მონღოლთა ურდოში „მიიწვიეს...“ იგი საპყრობილეში ჩააგდეს. მაშინ პატრიოტმა ქართველებმა თავი განირეს, რალაც ხერხებით მეფის საკანში შეაღწიეს და მოახსენეს: გარეთ ცხენები გვიციდიან, შეჯექ და გავიქცეთო. გოცებულმა მეფემ უსაყვედურა მათ: ეს როგორ ჩაიდინეთ და თავი ასე უაზროდ გასწირეთო. განა თავიდანვე არ ვიცოდი, რომ სიკვდილი მელოდა, მაგრამ მე ხომ ჩემი ერისათვის დავდევი თავი ჩემი და სული ჩემი. განა მე შემძლია ეს ამაოებით აღსავსე და წარმავალი საწუთრო იმისათვის დავიბრუნო, რომ მის საფასურად ქართველი ხალხი მოისრას?...  
დარწმუნებულის გადარწმუნებას აზრი არ ჰქონდა... და დარჩა მარტო აღსასრულის მოლოდინში... ეს მოხდა მოვაკანს, 1289 წლის 12 მარტს, მტკვრის პირას, დილით სისხამზე...



## 110 წელი უმძიმესი ბედის მქონე, მარად მისტიკისკენ მიდრეკილი პოეტის — ტერენტი გრანელის დაბადებიდან.

### ...გრანელი რომ დაუბრუნდა წალენჯიხას

ჟამი იდგა ვედრების და წირვა-ლოცვის, ღვთისმშობელი მფარველობდა წანთა დიხას, სოფლის საყდარს უგალობდნენ

ანგელოზნი, ტერენტი მათ მოუვლინეს წალენჯიხას. სისარული უწყალობა ბედმა მცირე, მჭმუწუნვარებას უქარებდა ჭანისწყალი, თუმცა სდევდა სამსონის ძეს სიდუხჭირე, მაგრამ ნიჭი დაჰყვა ყმანვილს საოცარი. აოცებდა ვარსკვლავები კოლხურ ღამის, მინის კენესა გულში ეკლად ესობოდა, წუთისოფლის დღენი ვლიდნენ, ვითარცა



ნამი, მაგრამ სოფელს ცვლილება არ ეტყობოდა... მაშინაც კი, როცა ცეცხლი სახლ-კარს ნთქავდა, დრონი ედგა მისტიური ფიქრის, ნატვრის, მის ოცნებებს, მიუწვდომელს, ფრთებს

ასხამდა იაკობი — წენდიხელი მეცენატი. ...და ფრთებს შლიდა ჭაბუკური ოცნებები, (მაგრამ სევდამ ღამის ისევ აატროს), ეჭვის თვალთ მას უმზურდნენ პოეტები, სულ სხვა ხედვა ჰქონდა ციურ

გალაკტიონს. ახლობელი იყო მისთვის წვიმაც, ქარიც, მისტიურში ოცნებებით უცხოვრია, მაინც ახლოს იყო მისთვის ზენაარი, თუმც უფლისთვის სიცოცხლე არ უთხოვია.

თბილისიდან მოდიოდა ბარათები, ასე წერდა: „საყვარელო ჩემო დაო! არც სახლი მაქვს და ქუჩაში ვეხეტები, თავშესაფრად ჩემთვის იქცა სასაფლაო...“

ლექსები და წერილები დაღაღებდნენ, საწუთროში სიცოცხლე რომ არ უნდოდა, მაგრამ მთავარანგელოზნი

„ფიცულობდნენ“

ტერენტი რომ სიკვდილსაც კი გაურბოდა... ...და ცხოვრობდა თბილისის ქალაქს, ვითარც მწირი, იმქვეყნიურ საიდუმლოს რადგან

ფლობდა, იყო მარად მისტიკისკენ მიდრეკილი, არც სიცოცხლე, არც სიკვდილი არ უნდოდა...

დედამიწა მისთვის გახდა მცირე ბურთი, ოცნებათა საკრებულო — ლურჯი ცაო, რადგან გახდა განუყრელი „ატრიბუტი“ გრანელისთვის: ღამე, წვიმა, სასაფლაო. ეცემოდა ყვითელ ფოთლებს სანთლის

ღვეთი, იქმნებოდა პოემები, ლექსიც, ფილმიც... წალენჯიხის სივრცე არის ერთადერთი, სად დაბრუნდა „მგლოვიარე სერაფიმი.“

...თეთრ საყდარში ჟამი იდგა წირვა-ლოცვის, მარიამი მფარველობდა წანთა დიხას, და გალობდნენ სანთლის ალზე

ანგელოზნი, გრანელი რომ დაუბრუნდა წალენჯიხას...

ვალერი ძაძამია  
VIII. 2011წ.

## უკატონთ

ძველი დრო არ გეგონოს, გაიღვიძე, ბიძია, გაიყიდა „თელასი“, მადნეულიც სხვისია, ახლა კუს ტბის პატრონი ბუბა კიკაბიძეა. მარგანეცი გასხვისდა, რიგში ახლა „ფეროა“, ვაზი ფრანგმა იყიდა, ყურძენს წურავს ლერუა... უპატრონო დღეისთვის მხოლოდ საქართველოა. მისა წნორელი

## ვის თხოვთ შენდობას...

თუ შენს ტაძარში შეძვრა ობობა და ღამურების ხმა ფარავს შენს ხმას, რა გაამართლებს შენს არსებობას, ვის უნთებ სანთელს: ღმერთსა თუ ეშმას?! ვინ დაიჯერებს, რომ ეს ცრემლები, მართლაც ცრემლია და მოწყდა შენს თვალს? ვინ შეისმინოს, ვის ევედრები, ვის თხოვ შენდობას: ღმერთსა თუ ეშმას?!  
ედემ კვირტია

## რა ვქნა...

რა ვქნა, თავი რაც მახსოვს, მძავს იმ კაცის ბუნება, ძალღივით რომ მხოლოდ ძვლის მიმდგებს ემსახურება. ჰოდა, ბოღმის ეკალი გულში მიტომ მესობა, ირგვლივ მყეფრის თვისებით ცხოვრობს უმრავლესობა!  
ქიშვარდ ისაკაძე

\* \* \*

...მარტო შენი მტერი დავიმაღავს, შენს სახეზედ რომ ურიგობა ჰნახოს რამე, მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ გაისწორო და ხალხში არ შერცხვე. მეც მოყვარესავით გექცევი — სარკე მოგიტანე, ამაზედ როგორ უნდა გამიწყე?!  
ილია ჭაჭავაძე  
„კაცია-ადამიანი“!



გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ნოჯიხური“ №19, 20, 21, 22).

გარეული ფრინველისა და ცხოველის მოვლა-პატრონობა და ბევრი სხვა. თანამედროვე მეცნიერთა ერთი ნაწილი ქმნის სქელტანინან წიგნებს აცტეკების, მაიასა და ინკების ხალხების შესახებ, ცივილიზაციებს, რომლებიც მათ ქვეყნებში სუფევდა, ინდიელ აბორიგენებსა და მათ წინაპრებს მიანერენ. თითქოსდა ისინი ერთ დროს უალრესად განვითარებული ხალხები იყვნენ და რაც დრო გავიდა, დაკნინდნენ და დაჩაჩანაკდნენ. თუ ეს ასეა, მაშინ სად არის საყოველთაოდ აღიარებული ცნება — პროგრესი? თუ აცტეკების, მაიასა და ინკების ტომთა აბორიგენები საუკუნეების მიღმა ასეთი ზე-

დებიან. რაც შეეხება სიტყვა „ინკას“ იგი მეგრულად გამოხატავს უცხო მზოდან მოსულ კაცს (ინა, ინკა). დღეისათვის ამ სიტყვას მეგრული იშვიათად ხმარობენ, მაგრამ მოხუც ადამიანთა საუბარში ამ სიტყვას ხშირად მოისმენთ, განსაკუთრებით მთიან რეგიონებში. აცტეკი — ამ სიტყვას მეგრული (ლაზური) წარმოშობის ძირი აქვს. აცტეკი ანუ ათ-თეკი, მეგრულ ენაზე ნიშნავს „აქ“, „აგერ“. ისე კი, როგორც ჩანს, მეგრულ ენაშიც არის ძველი მივინყებულ სიტყვები, რომელთა კვალიც თანამედროვეობაში ნაწილობრივ ნაშლილია ან სრულიად გამქრალია. გამოდის, რომ ცენტრალურ

ნუმენტური ნაგებობები, რასაც დღეს მთელი მსოფლიო განცვიფრებაში მოჰყავს. მეცნიერთა ერთი ნაწილი დღეისათვის თავამოდებით ეძებს, თითქოსდა, მაიას ტომის ცივილიზაციის წყაროებს. ამერიკელი არქეოლოგი მორლი ფერადკანიანი ინდიელების კულტურას, რომელსაც იგი შეცდომით მაიას კულტურას უწოდებს, სამ ეტაპად ჰყოფს, პირველ ეტაპს მაიკუთენბს კლასიკურამდე პერიოდს, რომელიც მოიცავს უძველესი დროიდან ჩვენი ნელთალრიცხვის 300 წლამდე. მეორე ეტაპს იგი უწოდებს კლასიკურ პერიოდს, რომელიც მოიცავს ჩვენი ნელთალრიცხვის 300-დან 900 წლამდე შუალედს. მესამე ეტაპად კი მიიჩნევენ 900 წლიდან დღემდე შუალედს.

მთელი მსოფლიოს მეცნიერთა გასაგონად ვიყვირებ, რომ ნულის ცნება და ათვლის ოცობითი სისტემა გაცილებით ადრე ჰქონდათ და ახლაც აქვთ ქართველებსა და ბასკებს. სწორედ ბასკები იყვნენ ის ხალხი (იგივე იბერები), ვინც კლასიკურ პერიოდში მაიას ტომის სახელით მოეწინის ველურ აბორიგენებს და ასწავლეს მათ სამშენებლო საქმე, ასტრონომია, მათემატიკა, გეომეტრია და სხვა საგნების ელემენტები. რუსი მეცნიერი, ოლეგ გორბუნოვი წერს, რომ 1864 წელს, მეცნიერმა უილიამ პრესკოტმა თითქოსდა თავის წიგნში „მექსიკის დაპყრობა“, რომ იტყვიან, ცივილიზებულ სამყაროს თვალეუბი აუხილა ამერიკელი აბორიგენების: აცტეკების, მაიასა და ინკების უდიდეს ცივილიზაციას, მაგრამ ჩვენ კი ვიტყვიან, რომ პრესკოტმა და მისმა მსგავსმა მეცნიერებმა თვალეუბი არ აუხილეს ცივილიზებულ სამყაროს, არამედ თვალეუბი დაუბნელეს კაცობრიობას თავიანთი მცდარი შეხედულებებითა და თეორიებით. პრესკოტი თავის წიგნში აღნიშნავს, რომ აცტეკების, მაიასა და ინკების ცივილიზაცია, ფერადკანიანი ინდიელთა ცივილიზაცია, რომელიც ადგილზე წარმოიშვა და ასევე მათივე მეცნიერებით განადგურდა. ცდებოდა უილიამ პრესკოტი, ცდებოდა ოლეგ გორბუნოვიც. მაია, აცტეკებისა და ინკების ცივილიზაცია ეს არის იბერთა ცივილიზაცია და სხვა მეტი არაფერი. ცნობილი ფაქტია, რომ იმ პერიოდში, როცა ქართველებმა თავიანთი სამშობლო, საქართველო, ძლიერი მიწისძვრების დროს დატოვეს, კოლხეთში მართლაც ოქროს ხანა ჰყვავდა. აქ მოდიოდნენ ოქროს დახარბებული ბერძენები და სხვები. მათი ერთადერთი მიზანი იყო, რომ მოგონებოდა ოქროს სანძისი ანუ ოქროს ხელოვნური გზით მიღებული საიდუმლოება ხელთ ეგდოთ. ამ მიზნით მოეწყო არგონავტების დახარბული ოქროსი და მედლის ვიზიტები ოქროს ხელოვნური გზით მიღების ტრაქტატის მოტაცება. მართლაც იყო ოქროს ხელოვნური გზით მიღების საიდუმლოება კოლხეთის ხელში თუ არა? აი, კითხვა რომელიც საუკუნეების განმავლობაში გადაუჭრელი რჩება. თუ შუა საუკუნეების ალქიმიკოსები დაუფრებენ, კოლხებს ასეთი საიდუმლოება ჰქონდათ. ისინი თვლიდნენ, რომ კოლხეთი ოქროს სპილენძისაგან ღებულნი იყვნენ. ვინც ქიმიკი ოდნავ მაინც გარკვეულია, დამეთანხმება, რომ სპილენძის შინაგანი სტრუქტურა რომ შეცვალაო და ოქროს მოლეკულაში გადაზარდოთ, ამისათვის საჭიროა კოლოსალური ენერჯია და ძალზე მაღალი ტემპერატურა, მაგრამ როგორც ალქიმიკოსები განმარტავენ კოლხეთს ამას ჩვეულებრივ პირობებში ატარებდნენ, ყოველგვარი კოლოსალური ენერჯიისა და ძალზე მაღალი ტემპერატურის გარეშე. ისინი თითქოსდა არ რეაქციის დამაჩქარებლად იყენებდნენ კატალიზატორს, რომელსაც „ფილოსოფიურ ქვას“ უწოდებდნენ. დღეისათვის არავინ იცის რა არის ეს „ფილოსოფიური ქვა“, მაგრამ თუკი ასეთი რამ არსებობდა, იგი ალბათ არამინიერი ნივთიერება იყო, შეიძლება კოსმოსიდან მოტანილი.

# მზის უპილავი

რეპაზ მრისთავი

ტ ბა ონტარიო, ონი და რიო. ონი ანუ მზის ქალაქი — ივრუ, ჰელიო-პოლისი. იგი საქართველოს უძველესი პროვინცია რაჭის ადმინისტრაციული ცენტრია, რომ კი ქართველთა ის ბელადია, ვინც იბერთა ამ ხანგრძლივ მოგზაურობას საფუძველი დაუდო. რიოთი იწყება, ასევე, მდინარე როოს სახელწოდებაც, რომელიც რაჭიდან, ამარანტის მთებიდან მოედინება.

კულტურით გამოირჩეოდნენ, მაშინ დღეისათვის ისინი განვითარების უმაღლეს წერტილზე უნდა იყვნენ ასულები, მაგრამ, ფაქტია, რომ ეს ასე არ არის. ინდიელები დღესაც, ცივილიზაციის საქმეში, ხელმოცარულნი არიან და მით უმეტეს ძველ დროში, როცა მათ, იმ პერიოდში, ცხოვრების ძალზე პრიმიტიული ჩვევები ჰქონდათ. ცნობილი მეცნიერი ბარონი ჰუმბოლდტი ამტკიცებს, რომ აცტეკების სამშობლო იყო ატლანტიდა და ეს უნდა ვეძიოთ ჩრდილო ნახევარსფეროში ატლანტიკის ოკეანის 42° პარალელზე. აქედან არიან შემდეგ ისინი მოსულნი მექსიკის ველზეო.

ჩვენ არ ვიცით, თუ რა წყაროებით სარგებლობდა ბარონი ჰუმბოლდტი; როცა იგი აცტეკების სამშობლოდ ატლანტიდას მოიხსენიებს, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ იგი აცტეკებზე თვლის იმ მაღალი კულტურის ხალხს, რომლებიც აცტეკების სახელით მოვიდნენ მექსიკის ტერიტორიაზე. ამავე დროს ჰუმბოლდტი მიუთითებს, რომ მათი საწყისი სამშობლო ჩრდილო განედის 42°-ზე მდებარეობს.

მორლის აზრით, ამ ეტაპებში ყველაზე მნიშვნელოვანია მეორე, კლასიკური პერიოდი, როდესაც აქ „ერთბაშად“ შემოვიდა ცივილიზაცია (?) და მოხდა ამ ველური ტომების განკაცება. ამ პერიოდში გაუვალ ჯუჯავლებში შეიქმნა უმნიშვნელოვანესი ქალაქები: ტიკალი, პალენკე, კოპანა, ბონამპაკი და სხვები. ამ კლასიკურ პერიოდში შეიქმნა მეცნიერების მთელი რიგი დარგები, მათ შორის; ასტრონომია, მათემატიკა, გეომეტრია და სხვა.

რაც შეეხება ზემო ტბას, ეს სახელწოდება ყველა ენაზე ზემო ტბის სახელით გამოითქმება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ხუთი ტბის რეგიონში გარდა რკინისა, მრავლად მოიპოვება სპილენძის, თუთიის, ნიკელის, ოქროსა და კობალტის საბადოები. ყველა ესენი ტბა გურონის (ქურონის) ჩრდილო ნაწილშია თავმოყრილი. რაც შეეხება ერის ტბის მიდამოებს, იქ შავი მეტალურგიისათვის საჭირო ნედლეულის მდიდარი საბადოებია გავრცელებული. თვით ქალაქი ერი კი დღეისათვის ერთ-ერთი ნამყვანი ცენტრია შავი მეტალურგიისა.

რაც შეეხება ზემო ტბას, ეს სახელწოდება ყველა ენაზე ზემო ტბის სახელით გამოითქმება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ხუთი ტბის რეგიონში გარდა რკინისა, მრავლად მოიპოვება სპილენძის, თუთიის, ნიკელის, ოქროსა და კობალტის საბადოები. ყველა ესენი ტბა გურონის (ქურონის) ჩრდილო ნაწილშია თავმოყრილი. რაც შეეხება ერის ტბის მიდამოებს, იქ შავი მეტალურგიისათვის საჭირო ნედლეულის მდიდარი საბადოებია გავრცელებული. თვით ქალაქი ერი კი დღეისათვის ერთ-ერთი ნამყვანი ცენტრია შავი მეტალურგიისა.

ჩვენ არ ვიცით, თუ რა წყაროებით სარგებლობდა ბარონი ჰუმბოლდტი; როცა იგი აცტეკების სამშობლოდ ატლანტიდას მოიხსენიებს, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ იგი აცტეკებზე თვლის იმ მაღალი კულტურის ხალხს, რომლებიც აცტეკების სახელით მოვიდნენ მექსიკის ტერიტორიაზე. ამავე დროს ჰუმბოლდტი მიუთითებს, რომ მათი საწყისი სამშობლო ჩრდილო განედის 42°-ზე მდებარეობს.

და სამხრეთ ამერიკაში იბერთა ხალხში წარმოდგენები მაიას, აცტეკებისა და ინკების ტომების სახით დასახლდნენ ფერადკანიანი ინდიელ აბორიგენთა შორის. მათი ტომების „წყალობით“, თანამედროვე მეცნიერები, დღეისათვის შეცდომით უწოდებენ ამ ტერიტორიებზე მცხოვრებ ინდიელებს მაიას, ინკებსა და აცტეკებს. ისინი გაიძახიან: მაიას ინდიელ ტომთა ცივილიზაცია, ინკების ინდიელ ტომთა ცივილიზაცია, აცტეკ ინდიელ ტომთა ცივილიზაცია და სხვა მსგავს ფსევდო ეპითეტებს.

მორლის აზრით, ამ ეტაპებში ყველაზე მნიშვნელოვანია მეორე, კლასიკური პერიოდი, როდესაც აქ „ერთბაშად“ შემოვიდა ცივილიზაცია (?) და მოხდა ამ ველური ტომების განკაცება. ამ პერიოდში გაუვალ ჯუჯავლებში შეიქმნა უმნიშვნელოვანესი ქალაქები: ტიკალი, პალენკე, კოპანა, ბონამპაკი და სხვები. ამ კლასიკურ პერიოდში შეიქმნა მეცნიერების მთელი რიგი დარგები, მათ შორის; ასტრონომია, მათემატიკა, გეომეტრია და სხვა.

მართლაც იყო ოქროს ხელოვნური გზით მიღების საიდუმლოება კოლხეთის ხელში თუ არა? აი, კითხვა რომელიც საუკუნეების განმავლობაში გადაუჭრელი რჩება. თუ შუა საუკუნეების ალქიმიკოსები დაუფრებენ, კოლხებს ასეთი საიდუმლოება ჰქონდათ. ისინი თვლიდნენ, რომ კოლხეთი ოქროს სპილენძისაგან ღებულნი იყვნენ. ვინც ქიმიკი ოდნავ მაინც გარკვეულია, დამეთანხმება, რომ სპილენძის შინაგანი სტრუქტურა რომ შეცვალაო და ოქროს მოლეკულაში გადაზარდოთ, ამისათვის საჭიროა კოლოსალური ენერჯია და ძალზე მაღალი ტემპერატურა, მაგრამ როგორც ალქიმიკოსები განმარტავენ კოლხეთს ამას ჩვეულებრივ პირობებში ატარებდნენ, ყოველგვარი კოლოსალური ენერჯიისა და ძალზე მაღალი ტემპერატურის გარეშე. ისინი თითქოსდა არ რეაქციის დამაჩქარებლად იყენებდნენ კატალიზატორს, რომელსაც „ფილოსოფიურ ქვას“ უწოდებდნენ. დღეისათვის არავინ იცის რა არის ეს „ფილოსოფიური ქვა“, მაგრამ თუკი ასეთი რამ არსებობდა, იგი ალბათ არამინიერი ნივთიერება იყო, შეიძლება კოსმოსიდან მოტანილი.

გადის გარკვეული დრო. იბერები გადაადგილებას იწყებენ სამხრეთის მიმართულებით. მათ გრძელი და ხანგრძლივი გზა ელით. მთელი ამერიკის ჩრდილოეთი და სამხრეთი კონტინენტები უნდა გადასერიონ. ამას ჭირდება წლები, საუკუნეები. როგორც ჩანს ამ პერიოდში წარმოიშვა ამ უზარმაზარი კონტინენტის სახელწოდება — ამერიკა. იგი იბერთა მიერ შერქმეული უნდა იყოს. საქართველოშიც ხომ არის მხარეების დასახლება, ამერი, იმერი, ამერიკაც აღნიშნული დასახლებების იდენტურია. რაც შეეხება ნაწილს „ა“-ს, იგი ძველ ეგვიპტურ გლოსარებში (დავინყებული სიტყვების ლექსიკონი) განმარტებულია, რომელიც შემდეგ გაიგივებულია თვით ძლევაშოსილ მეფესთან.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ იბერთა მიგრაციის გზა ჩრდილო ამერიკის კონტინენტისაკენ ჩრდილო განედის 42°-ს მიჰყვებოდა. შესაძლოა, მართლაც ამ განედზე მდებარეობდა ატლანტიკის ოკეანეში კუნძული ატლანტიდა, რომელიც გლობალური კატასტროფების დროს ჩაიძირა ჩრდილო განედის 42°-ზე. შეიძლება ეს ხალხი მართლაც იბერთა ერთ-ერთი ტომი — აცტეკები იყვნენ.

როდესაც ამ სტრიქონებს ვწერ, უფრო სწორად მეცნიერთა ერთი ნაწილის სიტყვებს ვიმეორებ, სიმართლე გითხრათ, გაკვირვებას ვერ ვმალავ: განა შეიძლება ფერადკანიანი ინდიელ აბორიგენებს, ასეთი პრიმიტიული ზეჩვეულებების მქონეთ, მაღალი რანგის ცივილიზაცია შეექმნათ? ანდა ისინი დიდი კულტურის შექმნას დაიჩემებდნენ? რომელი უმაღლესი ცივილიზებული ხალხი იყო მსოფლიოში ისეთი, რომლებიც ცოცხალ ადამიანებს გულს გლეჯდნენ მკერდიდან და კოცონზე წვავდნენ, თითქოსდა ღმერთის შესაწირად და მერე როგორი ღმერთისა, ჯუჯასი, შესახედად დადრეჯილისა და გომბუმის მსგავსისა. განა ასეთი უზომოდ პრიმიტიული ხალხი ქმინდა ასეთ საოცრებებს?

ეს არ არის სწორი მოსაზრება. ნუთუ მორლიმ ის მაინც არ იცის, რომ ინდიელთა ტომებმა, არც კლასიკურ პერიოდამდე და არც კლასიკური პერიოდის დასაწყისში, არ იცოდნენ რა იყო ბორბალი და რა იყო ცხენი. ისინი ცხენის დანახვაზე შიშისაგან თავზარდაცემულნი უგზოუკვლოდ გარბოდნენ. ცხენზე მჯდომი მხედარი და ცხენი მათ ერთი არსება ეგონათ. ან რაში სჭირდებოდათ უბრალო ველურ ხალხს, რომელთაც ცხოვრების ძალზე პრიმიტიული ნესი ჰქონდათ, შეექმნათ ისეთი რთული და გრძელპერიოდიანი კალენდარი, რომელიც იმ პერიოდში მოქმედებდა მათ ტერიტორიაზე და რომლის ბევრ დეტალში დღესაც ვერ გარკვეულა ცივილიზებული სამყარო.

მართლაც იყო ოქროს ხელოვნური გზით მიღების საიდუმლოება კოლხეთის ხელში თუ არა? აი, კითხვა რომელიც საუკუნეების განმავლობაში გადაუჭრელი რჩება. თუ შუა საუკუნეების ალქიმიკოსები დაუფრებენ, კოლხებს ასეთი საიდუმლოება ჰქონდათ. ისინი თვლიდნენ, რომ კოლხეთი ოქროს სპილენძისაგან ღებულნი იყვნენ. ვინც ქიმიკი ოდნავ მაინც გარკვეულია, დამეთანხმება, რომ სპილენძის შინაგანი სტრუქტურა რომ შეცვალაო და ოქროს მოლეკულაში გადაზარდოთ, ამისათვის საჭიროა კოლოსალური ენერჯია და ძალზე მაღალი ტემპერატურა, მაგრამ როგორც ალქიმიკოსები განმარტავენ კოლხეთს ამას ჩვეულებრივ პირობებში ატარებდნენ, ყოველგვარი კოლოსალური ენერჯიისა და ძალზე მაღალი ტემპერატურის გარეშე. ისინი თითქოსდა არ რეაქციის დამაჩქარებლად იყენებდნენ კატალიზატორს, რომელსაც „ფილოსოფიურ ქვას“ უწოდებდნენ. დღეისათვის არავინ იცის რა არის ეს „ფილოსოფიური ქვა“, მაგრამ თუკი ასეთი რამ არსებობდა, იგი ალბათ არამინიერი ნივთიერება იყო, შეიძლება კოსმოსიდან მოტანილი.

თუმცა დღეისათვის არსებობს ვერსია, რომ სახელწოდება ამერიკა უკავშირდება ამერიკო ვესპუჩის სახელს, მაგრამ რას იზამ კაცი, თუკი თანამედროვე სახელმძღვანელოებში და სხვა სპეციალურ ლიტერატურაში ასეთ საეჭვო ინფორმაციებს გვანვდის ზოგიერთი თანამედროვე მეცნიერი.

საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ მაია, ინკა და აცტეკი იბერთა მოდემის ტომები არიან, რომელთა სახელწოდებებში მეგრული ენის გავლენა აშკარაა, მაგალითად: მაია, ეს წმინდა მეგრული სიტყვაა, თანაც შედგენილი. „მა“ მეგრულ ენაზე „მეს“-ს ნიშნავს, „ია“, როგორც „აია“ მეგრული გვარების მწარმოებელი აფიქსებია, მაგალითად: ყორდანი, ყვანია, კვირია, კაშია, შენგელია, ადანი, ბარქია, გოგელია, ყოლბაია და ბევრი სხვა მსგავსი მეგრული გვარები. ისინი აღნიშნულ გვარებში მზის ღვთაების შვილთა წარმომავლობას ადასტურებენ.

ანალოგიურად მსჯელობენ მეცნიერები მაიას ტომთა ცივილიზაციაზეც. მაიას ცივილიზებული ტომები და იმავე ტერიტორიაზე მცხოვრები ინდიელი აბორიგენები მათ ერთდროვე ხალხი ჰგონიათ. ასეთივე აზრს გამოთქვამენ მათ წინაპრებზეც. აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრები ფერადკანიანი ინდიელების წინაპრები ჰგონიათ ამ დიდი კულტურის შემქმნელები.

მაიას ტომთა კალენდარში მოხსენიებულია 20 პიქტუნი, რომელიც 57 600 000 დღის ტოლია, ასევე — 20 კალაბუტონი, რომელიც 1152000000 დღის ტოლია და 20 კინჩილბუტონი, რომელიც 2 304 000 000 დღის ტოლია და ა.შ.

არ დაიჯეროს არავინ, როგორი რანგის მეცნიერის აზრიც არ უნდა იყოს იგი, რომ იმ უძველეს დროში, ქართველი ტომების: ხალიბების, ბასკების, ეტრუსკების, პელაზგებისა და სხვათა გარდა ვინმე ფლობდა შავი და ფერადი მეტალურგიის გამოდნობის საიდუმლოებას. ამიტომაც იყო რომ იბერთა მიგრაციის გზა მიჰყვებოდა ჩრდილო განედის 42°-ს, როგორც ჩანს დედამიწის ამ სარტყელში მოიპოვებოდა მეტალურგის მდიდარი საბადოები.

იბერთა თაოსნობით, ამ პერიოდში, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის ტერიტორიებზე იქმნება აცტეკების, მაიასა და ინკების კულტურები და დიდი ცივილიზაციები. ყველა ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ინდიელ აბორიგენებს შორის გავრცელებულია ერთი და იგივე აზრი, რომ მათთან ჩრდილოეთიდან მოვიდნენ თეთრკანიანი ბელადები და მოუტანეს ცივილიზაცია და განათლება.

გავიხსენოთ სიტყვა „აია“, რომელიც წარმართულ დროში მეფე აიეტის მმართველობის პერიოდში, მზის ღვთაების დინასტიის შვილთა წარმომავლობას მიუთითებს. ისინი კი დღეისათვის მეგრელთა ანუ ძველი კოლხების მაცხოვრებელთა გვარების დაბოლოებებია.

მაიად ნოდებული ინდიელთა ტომები ცხოვრობდნენ თანამედროვე იუკატანის ნახევარკუნძულზე, გვატემალასა და ჰონდურასის ტერიტორიებზე. მაიას ანუ უძველესი ქართველური ტომები, მხოლოდ იბერთა საყოველთაო მიგრაციის დროს მოვიდნენ აქ და დასახლდნენ ინდიელთა ტერიტორიებზე. სწორედ მაიას ტომთა უშუალო პროექტებითა და ხელმძღვანელობით შეიქმნა ის მო-

საყოველთაოდ არის მიღებული, რომ ცივილიზაციის კლასიკურ პერიოდში, მაიას ტომებში პირველად შეიქმნა „0“ (ნულის) ცნება. ასევე უნდა შევნიშნოთ, რომ მაიას ტომის ქურუმები პრაქტიკაში იყენებდნენ ათვლის ოცობით სისტემას. მეცნიერთა ერთი ნაწილი აღნიშნავს, რომ ნულის ცნება და ათვლის ოცობითი სისტემა, მხოლოდ ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ინდიელ აბორიგენებს ჰქონდათ გამოყენებული. მე კი

არ დაიჯეროს არავინ, როგორი რანგის მეცნიერის აზრიც არ უნდა იყოს იგი, რომ იმ უძველეს დროში, ქართველი ტომების: ხალიბების, ბასკების, ეტრუსკების, პელაზგებისა და სხვათა გარდა ვინმე ფლობდა შავი და ფერადი მეტალურგიის გამოდნობის საიდუმლოებას. ამიტომაც იყო რომ იბერთა მიგრაციის გზა მიჰყვებოდა ჩრდილო განედის 42°-ს, როგორც ჩანს დედამიწის ამ სარტყელში მოიპოვებოდა მეტალურგის მდიდარი საბადოები.

# მარგო ფონიავა — ობუჯელთა კიდევ ერთი სატკიპარი



მეტად სამწუხარო ცნობა მივიღეთ თბილისიდან, — 77 წლის ასაკში გარდაიცვალა პედაგოგი, ბიოლოგი, საპატიო პროფესორი, ობუჯელთა სიამაყე — მარგო ნიკოლოზის ასული ფონიავა.

მისმა ამაღლებულმა სულმა სამარადისოდ დაივიწყა იქ, სადაც მრავალი ვერ მოხვდებოდა... აქ ნკვარამია, იქ კი... პოეტს რომ დავესესხეთ — „...მანდ დიდი საქართველოა თავისი სიგრძისიგანით!...“ დიას! მარგო ფონიავას უკვდავი სული ზეციურ, დიდ საქართველოში დამკვიდრდა... ქალბატონ მარგოს მუდამ ახარებდა ობუჯისა და ობუჯელთა ყოველგვარი წარმატებები. „მე ობუჯელები კია არა, იქაური ქვა და ღორღიც კი მიყვარსო,“ — მწერდა ერთ-ერთ წერილში. ყველას დიდი სიყვარულით მოიკითხავდა.

სამწუხაროდ, ბოლო წლებში ჯანმრთელობა საკმაოდ შეერყა. და მაინც ყველაზე მეტად იმას ნუხდა რომ ობუჯში ვერ ჩამოდიოდა, (უკანასკნელად 2004 წელს

იმყოფებოდა) მაგრამ ღმერთმა ხომ იცოდა, როგორ აკლდა იქაურობა. ცხადია, ეს სიყვარული ობუჯის მარტო ლამაზი ბუნების სიყვარული როდი იყო. ეს გრძნობა იქაური ადამიანების, მათთან მისი ბავშვობისდროინდელი, თუ ახალგაზრდობის პერიოდის სიყვარული იყო, რომელიც ასე ძალუმად ასაზრდოვებდა მის ანწყობას. მან მომავალზეც იზრუნა: საყვარელი შვილიშვილები დააკავშირა ობუჯთან და ობუჯელებთან.

ერთხელ, დედაქალაქში ყოფნისას, ქალბატონ მარგოს ვესტუმრე, ძალიან გაუხარდა. ვიცოდი, ნებისმიერი ობუჯელის სტუმრობა მას ჭეშმარიტად დიდ სიხარულს რომ ანიჭებდა. ერთი რამ არ ვიცოდი მხოლოდ. დედაჩემი, ელენე ანდრიას ასული სონგუ-

ლია, თურმე, მას მეორე კლასში ასწავლიდა... ბევრი საინტერესო, ობუჯთან დაკავშირებული ამბები, გაიხსენა ქალბატონმა მარგომ, საუბრისას ასეთი რამ მითხრა: პენსიაზე გასვლის შემდეგ ობუჯში ვაპირებდი სააგარაკო სახლის აშენებას და უფლის ნებით ბოძებული დარჩენილი წლების იქ გატარებას. რამდენი თავისუფალი დრო მექნებოდა ობუჯელებთან საურთიერთოდ, მათ მოსაფერებლად. სამწუხაროდ, ჩემი ჩანაფიქრი ნოეს ზუზულასავით დამეწვრა, მაგრამ ჩემს შინაგან დამოკიდებულებას ჩემი დედუღეთისადმი ვერაფერი შეცვლის. მისადმი ფაქიზ დამოკიდებულებას და სიყვარულს საგზლად წავიძღვებოდა იმ ქვეყნად და ასეთი დამოკიდებულებისთვის ჩემდამი მადლიერი დედის და გამზრდელი

ობუჯელი ბებია-ბაბუის წინაშე ამაყად წარვსდგებო... ახლაც სინდისი მექნჯნის, მიზეზთა გამო რომ ვერ მოვახერხე დედაქალაქში ჩასვლა და უკანასკნელად გამომშვიდობება, პატივის მიგება მისი ხსოვნისადმი...

როცა ცხოვრებულ გულვარდ კაჩიას ოჯახს მივუსამძიმრე, მისმა ვაჟიშვილმა ვალერიმ მითხრა, ობუჯიდან და წალენჯიხიდანაც იყვნენ ქალბატონ მარგოს ამხანაგები და კოლეგები. მთავარი მაინც ერთია: ქალბატონმა მარგომ თავისი შრომით, ღვაწლითა და ბრძოლით, საოცარი ადამიანური ურთიერთობით, სამშობლოსადმი და დედუღეთისადმი უსაზღვრო სიყვარულით უკვდავება დაიმსახურა!... ღმერთმა აცხოვროს...

პალარი ქაქაია

## ბიობრაფიული ცნობები

მარგო ნიკოლოზის ასული ფონიავა დაიბადა 1933 წლის 2 დეკემბერს წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯში. მისი მშობლები — დედა ოლია კაკაჩია და მამა ნიკოლოზ ფონიავა პედაგოგი, ბიოლოგი, საპატიო პროფესორი, ობუჯელთა სიამაყე — მარგო ნიკოლოზის ასული ფონიავა.

არ საკანდიდატო დისერტაცია, 1980 წელს, მის მიერ გამოყვანილი ხორბლის პერსპექტიული ჰიბრიდების თესვების ნიმუშები გაგზავნილ იქნა ქ. ლენინგრადის ნ.ი. ვავილოვის სახელობის მემკვიდრეობის საკავშირო ინსტიტუტში, სასელექციო კოლექციაში ჩასართავად. მისდა გასახარად მეტი მოწონება სწორედ იმ სელექციურმა ნიმუშმა დაიმსახურა, რომელსაც მან საავტორო უფლებით „ობუჯი“ უწოდა.

მიიღო რა ს/მ მეცნიერებათა კანდიდატის წოდება, 1982 წლიდან მან დაიკავა ბოტანიკისა და ეკოლოგიის კათედრაზე დოცენტის თანამდებობა, ხოლო 1983 წელს მიიღო დოცენტის წოდება. ის წლების განმავლობაში მუშაობდა კათედრაზე და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ყველა სპეციალობებზე კითხულობდა ლექციებს გენეტიკის, სელექციის, სხივად მონანილეობა მისაღებ გამოცდებში (იყო სამოცამდე სადიპლომო ნაშრომის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი), ასევე ბიოლოგიაში გამომცდელად არაერთგზის მიუწვევიათ იგი სასოფლო და ზოოვეტერინალურ ინსტიტუტებშიც.

1970 წელს მ. ფონიავა საზოგადოება „ცოდნის“ წევრი გახდა და 1990 წლამდე მისი აქტიური ლექტორი იყო. ამ ხნის მანძილზე მას ბიოლოგიის, კერძოდ, გენეტიკის პოპულარულ საკითხებზე ნაკითხული აქვს მრავალი საინტერესო ლექცია, როგორც თბილისის სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებებში, ასევე მის გარეთაც — (რუსთავი, გორი, თელავი, სოხუმი). აგრეთვე, მას უწყევდა მონანილეობის მიღება უმაღლესი სკოლების სამინისტროს ისეთ ღონისძიებებში, როგორც იყო პედინსტიტუტების მუშაობის გეგმიური შემოწმება. ასეთი მისიით მას მოუწია მუშაობამ სოხუმის და ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტების საბუნებისმეტყველო ფაკულტეტებზე (1986 და 1987წ.). 1987 წელს ის სახელმწიფო გამოცდების თავმჯდომარე იყო სოხუმის გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე; 1988 წელს თბილისის დახელოვნების ინსტიტუტის მიერ მივლინებული იყო სოხუმსა და გაგრაში საშუალო სკოლების პედაგოგთათვის ლექციების წასაკითხად ზოგიერთ სიახლეებზე ბიოლოგიაში და სასკოლო-სასწავლო ნაკვეთების მოწყობის მეთოდური საკითხების გასაცნობად. ასევე სხვა მრავალი ღონისძიების მონაწილე ყოფილა იგი.

მარგო ფონიავამ სოფელი ობუჯი 19 წლისამ დატოვა, მაგრამ კავშირი არც ობუჯთან და არც წალენჯიხასთან არასდროს გაწყვეტილა. ის ბოლომდე დარჩა თავისი დედუღეთის გულშემოტიკვირად. ამის დასტურად საკმარისია რამოდენიმე ფაქტი: 1986 წლის აპრილის თვეში მისი ინიციატივით წალენჯიხის რაიონში მოწვეო სამეცნიერო-მეთოდური სესია საშუალო სკოლების პედაგოგებისთვის პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლების (ალ. ლლონტი, ვ. რამიშვილი, ალ. ნერეთელი, ვლ. გაგუა, ი. ქაჯაია, ვ. ცაავა, მ. ფონიავა) მონაწილეობით. მაღალ დონეზე ჩატარდა, როგორც პლენარული, ასევე სექციური მუშაობანი (ბიოლოგიის სექციას უძღვებოდა დოც. მ. ფონიავა); 1985 წლის მაისის თვეში მისივე ინიციატივით დიდი ღონისძიება ჩატარდა ისევე წალენჯიხის რაიონში, ბუნების დაცვის ხაზით აკადემიკოს ლ. გაბუნას მეთაურობით. ამ გამსვლელ სესიაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ მაღალკვალიფიციური კადრები მ. ფონიავამ გააშუქა საკითხი — „გარემოს დაცვის დარგში საგანმანათლებლო საკითხების სრულყოფის შესახებ.“ დიდხანს ახსოვდათ წალენჯიხელებს ეს ღონისძიება, რომელსაც სასიკეთო პრაქტიკული შედეგებიც მოჰყვა.

ასევე, სასარგებლო და ახლობლური იყო მისი ურთიერთობა ობუჯის საშუალო სკოლასთან. 1997 წლის ნოემბერში მშობლიურმა სკოლამ მოაწყო მ. ფონიავას პოეზიის საღამო, რომელსაც ის სიხარულის ცრემლებით იგონებს, რამეთუ იმ ღამეზე ღონისძიებამ იგი სახელო საუკუნის წინანდელ მოგონებებში დააბრუნა და აღაფრთოვანა გულწრფელი სიყვარულით. მადლიერების გრძნობის გამოხატვა არც მას დაუყოვნებლივ. რამოდენიმე თვეში მან თავის მშობლიურ სკოლის ბიოლოგიისა და ქიმიის კაბინეტს გადასცა საჩუქრად სოლიდური ღირებულების სასწავლო-ტექნიკური ხელსაწყოები და თვალსაჩინოებანი. ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტის სამასხოვროდ დაუტოვა მაღალი პოლიგრაფიული დონით შესრულებული — „ქართული ანბანთქება.“ ობუჯის საშუალო სკოლის საპატიო დაფაზე ჰქვიდა მისი მონაფეოქობისდროინდელი სურათი. სკოლაში ინახება მისი ლექსების ალბომი და ობუჯელ პედაგოგებზე მის მიერ დაწერილი მოგონებანი, რომლებშიც ყოფილი პედაგოგებისადმი მადლიერი მოსწავლის ფაქიზი დამოკიდებუ-

ლება გამოხატული.

მ. ფონიავა 600-მდე ლექსის ავტორია. მისი პოეტური შთაბრძნების პირველი ნაწარმ სამეგრელოს ეს ულამაზესი სოფელი — ობუჯი იყო. მესამე კლასში დაწერილი პირველი ლექსი, სწორედ დედუღეთს მიუძღვნა მან. აქედან აიღვა ფეხი მისმა პოეზიამ, პოეზიამ, რომელშიც 80-მდე ლექსი დედუღეთის თემაზეა დაწერილი, იმ დედუღეთისა, რომელთანაც გაიგივებული აქვს ადრე გარდაცვლილი დედის (ოლია კაკაჩია) სიყვარული:

„მე რომ მისით მიყვარს  
ამერ-იმერი,  
იმ დედუღეთს დაგიფიცებ  
მადლიანს,  
შენზე ლოცვით თუნდაც სული  
ამომხდეს  
წამითაც არ დავფიქრებდი,  
მარიამ,  
ოლონდ კვლავაც, კვლავაც  
შემოგავედრებ  
საქართველოს ხვალისდელ  
დღის განთიადს.“

მ. ფონიავას ლექსები 1970 წლიდან იბეჭდებოდა წალენჯიხის რაიონულ გაზეთში „ეგრისი“ — აქ ჩამოვთვლით ზოგიერთი მათგანის სათაურებს: „ობუჯს“, „ჩემო დედუღეთო“, „ძველი ნისკვილი“, „მეგრული ჩელა“, „დაუფინყარი საღამო“, „გალაკტიონის მოლანდება“, „ვერ დაგიფარეს ანგელოსებმა“, „ფიროსმანის ხსოვნას“, „ანას“, „მაგნოლია“ და სხვა მრავალი.

1975 წელს მისი ლექსები დაიბეჭდა გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში“ — „კინდლის სანაპირო“, „კიპარისები“, „მორცხვად ილიმის ცა.“ 1985 წელს მესტიის რაიონულმა გაზეთმა — „ახალი სვანეთი“, დაბეჭდა მ. ფონიავას ლექსები ციკლიდან — „სვანეთი“: „მთების ქორნილი“, „ნეტავ გამხადა მქონები“, „სვანეთი — სულის სიმშვიდე“, 1998 წლის ოქტომბრის ნომერში თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გაზეთმა — „თაობა“, დაბეჭდა მისი ახალი ლექსები: „დამილოცე“, „ანა კალანდაძეს“, „გავგიფრინდნენ წლები“, „ნუ დაინანებ.“

მის ბოლოდროინდელ ლექსებში დარდი და სევდა გამოსჭვიოდა. როგორც ქალს, დედას და ბებიას აღელვებდა თავისი ქვეყნის ბედი. გრანდისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ლექსში იგი ასე გამოხატავდა ამ გრძნობას:  
ცას შეჰყურებენ ძველი  
ცაცხვები,  
მეც მარტო ვდგავარ  
სამცაცხვის ძირას  
და მწარე ფიქრებს ვაჭან  
ლურჯ ტალღებს

აქ, წალენჯიხის ჭანისწყლის პირას  
და სატკივარი საქართველოსი  
გაუწელებელ ტკივილით  
მტკივა.“

1991 წელს გაზეთ „ეგრისის“ მაშინდელმა რედაქტორმა ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორმა ბ-ნმა კ. ჩიქობავამ მ. ფონიავას პოეზიისადმი მიძღვნილ ვრცელ, მიმოხილვით წერილში ნიშანდობლივად აღნიშნა, რომ ქალბატონი მარგო შემოქმედებასაბუდარს — ობუჯს ეკუთვნისო. დიას, სოფელი ობუჯი ლეო ქიჩელის, ნიკოლოზ შენგელიას, შოთა მესხიას და სხვათა სოფელია. ობუჯელობა მას დიასაც, ფოთლობაზე ნაკლებ როდი ეამაყებოდა, მაგრამ ამავე დროს არც ეადვილებოდა იგი:  
დიდი ლეო, ნიკოლოზი,  
შოთა ობუჯს რომ ჰყოლია,  
შენც რომ ობუჯელი  
გერქვას —  
ეს ადვილი ნუ გგონია.“

ასე სწამდა მას და ამ რწმენას სათუთად უფრთხილდებოდა, რის საფასურადაც ობუჯელთა და წალენჯიხელთა თავყვანისცემას იმკვიდა, როგორც მისი პოეზიის, ასევე მისი პიროვნებისადმი.

**მარგო ფონიავას  
სსოვნას**  
ობუჯის ზეცას ვარსკვლავი  
მოწყდა,  
მკერდში ჩაიკრა მინამ  
თბილისის  
ქალი, რომელმაც  
ობუჯელობა  
ინამა მსგავსად წმინდა  
თლისმის.  
მას დედუღეთი ძლიერ  
უყვარდა,  
მიაჩნდა ნამდვილ სალოცავ  
ხატად,  
მთელი სიცოცხლე ადიდა,  
აქო  
უსათუთესად ლექსებში ხატა.  
ობუჯელობა მას ჰქონდა  
ტვირთად,  
რომელიც უნდა ზიდო ამაყად,  
მისი ცხოვრების ბოლო  
წუთებიც  
მჯერა, ობუჯზე ნატოვით  
გათავდა...  
ქალი, ლამაზი სახის და  
სულის  
დააკლდა ობუჯს, დააკლდა  
თბილისს...  
ვინც მას იცნობდა, დიდს და  
პატარას  
მოგონებები დარჩებათ  
თბილი...  
**მანანა კაკაჩია**

# ეგნატე ფიფია - 110

## ჩემი ბიოგრაფია



აკადემიკოსი ეგნატე ფიფია მშობლიურ ჩქვალერში. 10. VIII. 1977წ.

ღავიბადე 1901 წელს ჯვარელი გლეხის კალისტრატე ფიფიას ოჯახში. დანყებითი განათლება მივიღე ჯვარისა და ნალენჯიხის ორკლასიან სასწავლებელში, შემდეგ — ფოთის ვაჟთა გიმნაზიაში.

1926 წელს დავამთავრე თბილისის სახემნიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი; სტუდენტობიდანვე მუშაობა დავიწყე ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის კათედრაზე — პროფესორ ნიკოლოზ კახიანთან.

1930 წლამდე ვიყავი პროპედევტიკული ქირურგიული კლინიკის ორდინატორი, შემდეგ ჰოსპიტალური ქირურგიის კლინიკის ასისტენტი (გამგე-აკადემიკოსი გრიგოლ მუხაძე).

1936 წელს დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია — „ღვიძლის აბსცესი და მისი მკურნალობა“, 1937 წელს კი მოსკოვში, გორკის სახელობის ექსპერიმენტული მედიცინის სრულიად საკავშირო ინსტიტუტის პათოლოგიური ფიზიოლოგიის განყოფილებაში (გამგე — აკადემიკოსი ა. სპერანსკი), სადოქტორო დისერტაცია — „ახალი მონაცემები დაკბილული იოგის შენებისა და ფუნქციის შესახებ“.

1940-1950 წლებში ვიყავი პედაგოგიური და სანსპიგენური ფაკულტეტების ჰოსპიტალური ქირურგიული კლინიკის გამგე.

1941 წელს მომენიჭა პროფესორის წოდება; ამავე დროს ვიყავი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

დიდი სამამულო ომის პერიოდში ვიყავი ერთ-ერთი ევაკოჰოსპიტლის წამყვანი ქირურგი და რიგი ჰოსპიტლების კონსულტანტი.

1939-1956 წლებში ვასრულებდი საქართველოს საექიმო საზოგადოების ქირურგიული სექციის სწავლული მდივნის მოვალეობას.

1946-1953 წლებში ვხელმძღვანელობდი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული კლინიკური ქირურგიისა და ჰემატოლოგიის ინსტიტუტის განყოფილებას.

1950 წლიდან დღემდე ვარ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის საფაკულტეტო ინსტიტუტის ქირურგიული კათედრის გამგე.

1946 წლიდან ვიყავი საქართველოს ქირურგიული საზოგადოების გამგეობის წევრი, ხოლო 1968 წლიდან გრიგოლ მუხაძის სახელობის ქირურგიული საზოგადოების თავმჯდომარე. არჩეული ვარ საკავშირო ქირურგიული საზოგადოებისა და ყირგიზე-

თის ქირურგიული საზოგადოების საპატიო წევრად.

ვარ ჟურნალ „ვესტნიკ ხირურგიის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი და დიდი სამედიცინო ენციკლოპედიის თანარედაქტორი.

1955 წელს მომენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

1969 წელს ამირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

ჩემი ხელმძღვანელობით შესრულებულია რვა სადოქტორო და ჩვიდმეტი საკანდიდატო დისერტაცია, ვარ 170 სამეცნიერო შრომის ავტორი, რომელთაგან რვა მონოგრაფიაა.

1977 წელს შრომათა ციკლისათვის — „კუჭის პათოლოგიის აქტუალური პრობლემები“, მომენიჭა საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია.

ვიყავი მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს ხუთი მოწვევის დეპუტატი.

დაჯილდოებული ვარ ლენინის (ორი), „შრომის წითელი დროშის“, „საპატიო ნიშნის“, „ოქტომბრის რევოლუციის“ ორდენებითა და მრავალი მედლით.

ვიყავი ქირურგთა საკავშირო და საერთაშორისო (მეხიკო, ბელგრადი, ბერლინი, ვენა) ყრილობებისა და კონფერენციების მონაწილე და მომხსენებელი.

ეგნატე ფიფია 1977წ.

### ხუტა ბერულავა

#### წაბწმკა ეგნატე ფიფიას წიგნზე

ამწვანებულმა კოლხთა მთა-ბარმა, შვილთან მოკითხვა რომ დამაბარა, გამომატანა ნატვრა ათასი, ჩამონერვილი გული დაფაზე...  
ო, როგორ გელით სოფელი ჯვარი — მიუწვდომელი ოცნების გვარი! სიყვარულით და თავდავიწყებით გელიან თეთრი, ამაყი მთებიც. იქ, სადაც ენგურს ერთვის მაგანა, ერთი ქოჩორა ბიჭი დამდგარა. და... სალამური წკრიალებს ისევე, ხედავთ? გეცნობათ? გაგონებთ ვისმე? იმ ბიჭს სწადია ნაცნობი ხმებით, რომ გაგიცოცხლოთ ბავშვობის წლები. ათქვირებული სიმინდის ყანა, და ოდოია, და დიდოე-ნანა, და ჩელა, გულისდამწველი ჩელა, ვით ჩვენებური სიმღერა ყველა; თქვენი მოგვარე პოეტის ლექსიც — შიშინი ენგურის გზების და მწყემსის! ზაფხულის დილა, კოლხთა კილოზე, გზა თბილისისკენ რომ დაგილოცეს, მაფშაღივება და არწივებმა პატარა კერის გასაბრწყინებლად, გასაბრწყინებლად პატარა ჭურის და სადიდებლად პატარა ერის!  
...თქვენმა მშობელმა კოლხთა მთა-ბარმა, თქვენთან მოკითხვა რომ დამაბარა, გამომატანა ლოცვაც ჯვარული, როგორც მადლობა და სიყვარული!  
19.X.1977წ.

### თამაზ ფიფია

#### ეგნატე

ექლვნება ბატონ ეგნატე ფიფიას შვილიშვილს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს გიორგი (გოგა) ფიფიას, დისერტაციის დაცვის დღეს (8.II.2002 წ.).

სიტყვას სტრიქონში ვერ ვატივ, როს მახსენდება ეგნატე, განგებით ვისაც ებედა — ცოცხლობდეს უკვდავ ლეგენდად. ერმა როგორ არ უმადლოს, ქირურგთა მეფეს უბადლოს, \* ვის წინაც პირფერმიხიდილი, უკან იხვედა სიკვდილი. ფხიანი და გამჭრიახი, მცნობელი იყო სიახლის, ნანახ და გაგონებულთ ზეგარდმოშთაგონებულთ. ვისზეც შეითხზა მითები: „დაიგნოზს სვამსო თითებით, არისო მერე კაცის ხსნა, სნეულის მუცლის გადახსნა.“ იმდენს აჩუქა სიცოცხლე, მსურს ღვანლის მადლი ვიცოდეთ. მკურნალი ყველგან ქებული კაცობით, — რა დიდებულთ! კვალსა სტოვებდა ზენათელს და ხელკურთხეულ ეგნატეს დარჩა სამზეო სახელი, სიქველის გამომხატველი,

და კიდევ: — გმირისა მანგი, დიდი ვაჟკაცი ვახტანგი, მამისა კვალზე მავალი, — იმედი და მომავალი! მოძმისთვის საქმით რგებელი, ქვეყნისთვის თავდადებული, ისიც ქირურგი ბრწყინვალე ხალხისთვის ზრუნვას ივალეხს და ერს ეწირვის ადვილად გულით რაინდი ნამდვილად! და კიდევ: — კობტა ყმანვილი, გვარში ხმლებივით აწვდილი, მამულიშვილად აღზრდილი, ძალაც რომ შესწევთ ქადილის. ერთი გამოჰყვა იმავ გზას, ეგნატემ რაც მოიაზრა, უკვე უმადლის მალად ცას — სკალპელი ბაბუმ გადასცა. რაც დაისახეს სწორია, დღეს გოგა პროფესორია, აწმყოს მიზანიც მრთელია — გვარ-გენთან პირნათელია!

**პ.ს. რა სწრაფად წლები მიჰქრიათ — სიცოცხლე როგორც ფიფია. დიდი წინაპრის ფიქრია: ქირურგიაში ფიფია!**

**\*ეგნატე ფიფიას გაუკეთებია 50 ათასზე მეტი ოპერაცია, — ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი.**

**თამაზ ფიფია**  
**მადგას მწის**  
**ღმერთის ატილი**  
(წარმომავლობით დანტერესებულ ზოგ-ზოგათთვის)

ამ მიწის მკვიდრი ვარ კოლხი, მე — ეგრისელი ქართველი, აქ სუფევს მადლი სამოთხის, მშობლიურია მთა-ველი და იმის გასწვრივ გაშლილი ზღვის მშვენი სანაპირონი, მადგას მზის ღმერთის არილი, \* ღვიძლსა ძეს კავკასიონის.

აქ მქონდა ვრცელი სამეფო — მწნე წინაპართა სამკვიდრო, წარსული ხსოვნითაც მმეფობს, ძალუძს სულს ცეცხლი წამკიდოს. მახსენებს გმირებს: აიეტს, აფსირტეს, ცირა მედეას; — იაზონს, არგოს, ოქროს ვერძს — ფიქრი მთელ კოლხეთს ედება: მამაცი, ლალნი, რაინდნი, ვიყავით თავისთავადნი, ჩვენი შიშით და თან რიდით ბევრს შეეზღუდა ნავარდი. აურაცხელი გემებით ვცურავდით ზღვებს და ხმელთშუა, პროტოქართული გენებით ვავრცობდით საზღვრებს შეუვალს. გვქონდა დიადი არენა, აკვნობის იმ ძველ ხანაში, ჩვენი კულტურა და ენა ყვაოდა ბევრ ქვეყანაში. პონტოს შეეკარით პირობა,

კოლხ-ლაზ-იბერთა სახელით, ხოტბა შევასხით გმირობას დიად ომებში გამხელილს. გვყავდა ძმობის რა ამქარი, ან თუმცა ძნელობს განსჯანი, დიდ მითრიდატეს ლაშქართ რომს მივუღწენთ ჯავშანი. მტრის დევნა როს განვიზრახეთ, მზერა დავგვიხმო ტალახმა, ბოლომდე ველარ ვიმარჯვეთ შვილთაგან ნალალატარმა. ზეციდან აღარ გენყალობდენ, მაინც რეკავდა კოლხი ზარი, მედგრად ვებრძოდით დამპყრობლებს — შაჰი იყო თუ ხონთქარი. გრძნობა გავგებდა გრძნეული, სიტყვას დავხურეთ გუმბათი, ქრისტიანობის ერთგული, როცა მოგვიკლეს გუბაზი! წილადობილა დამთავრდა მტრულ აზრისადმი ამრეზით, ეგრისის ველზე გასწაზღვრა ფარტაზმა ქართველთ სვლა-გეზი!

მერეხების ხშირ თავსხმაში, მარულაზე ვით ჰუნენი, ქროდნენ წლები... მათ ალყაში გავიდნენ საუკუნენი. კოლხ-ლაზ-ქართველთ სამ სამეფოს თავკერძობის ახლდა დრონი, მაგრამ გმირს ვერ შეაშფოთებს აშლილობა სადროშონის. მიდგა კოლხი მარუშის ძე — თვითეულთან შეკრა ზავი, სიძნელეს არ შეუშინდა, ერთობ ისახელა თავი. თანამომეტ სამმართველოდ, მრავალი მტრის გასაკვირად, მშობლიურ სამ საქართველოს ერთმეფობა დაუშკვიდრა. ამას მოჰყვა დადიანის უანგარო სამსახური, გამორჩევით აზრიანი, ერთგულების მხნე დასტური! ერს უსრულეს თუ პირობას, კაცი უკვდავ სახელს ქმნიდეს, მეგრულ მთავრის ის გმირობა ეცოტავა ნუთუ ვინმეს?!

მერეც ურყევად, ვით კლდენი, ვფლობდით სამთავრო სახელოს გავუხდით მესაძირკველნი ერთიან დიდ საქართველოს! მაშინ გვწყალობდა დროება, თუმცა ვიყავით ურვილიც და არასოდეს გვტოვებდა თავისუფლების სურვილი!

პირადულზეც მინდა სიტყვა და — საფიქრალი მარადი, სრულ სიმართლით უნდა ითქვას რაიც გვარ-გენით გადადის. თუმცა გზა ზოგჯერ ამებურდა, ვიყავ ეულად მავალიც, კაცის კაცი რომ არ სურდა ვარ მისი შთამომავალი!


ამ მიწის მკვიდრი ვარ კოლხი, — ერთგული, ნაღდი ქართველი, აქ სუფევს მადლი სამოთხის, მშობლიურია მთა-ველი...

და იმის გასწვრივ გაშლილი ზღვის მშვენი სანაპირონი, მადგას მზის ღმერთის არილი ღვიძლსა ძეს კავკასიონის!  
1994წ.

**\* კოლხ-ლაზ-მეგრელებს მზის ღმერთის შვილებს უწოდებდნენ.**

### მეღაკ ატიმე ქუდს და ბოხობს?! და ბოხობს?!

ბევრი გახლდა მხნე ობროდი, როს იწყებდი სხვებზე როხროხს, ჯანსულოთი ერთობოდი — ვერ არჩევდი ქუდს და ბოხობს?! გასწავლიდა ბევრი ჭკუას, ვერ ხვდებოდი ვის ნდობოდი, შინამტერი ისე ცრუა, მისივე ხელით ემხოზოდი. ძველთაგანვე მოყმეს მზისას რად დაგანდა გულზე ყანდი?! კვლავაც ზღვისპირს ნაგში ზიხარ — გემზე ველარ გადაბრძანდი. შენი ცხენი, ქვიშორია, მიებაზა ისტორიას, ახლა მიხვდი, „ბოხობია!“ აწმყო მაინც ოხ-ობია! შეგახსენებ იმ ძველ წარსულს, როცა იყავ სვემორჭმული, შეჭხაროდი მზიან მამულს და მედგარი გედგა სული. სამხრეთში თვით რომს ებრძოდი, დასავლეთით — ველურ სკვითებს, ლაშქრად მაშინ რას მღეროდი აღარ შერჩა უკვე მითებს. სპარს-ოსმალთ შენც გიტევდა, არაბი და კაზაკ-რუსიც, ხმალს უქნევდი ირგვილვ მტრებს და ყველა მხრიდან ქროდა სუსხი. რამდენ ხიფათს გაუძელი, გაიკვალე ბრძოლით გზები, რწმენით ავსე გული მრთული, შეჰყურებდი მერმისს გზნებით. დუნიანზე ჰყავ ცნობილი ხალიბური წრთობა ხმალის, ორ ზღვას შუა გავრცობილი მოგძახოდა მომავალი! ძველი მერე დაგავიწყდეს, როს აგებნა გზა და კვალი, სანამ „მოხობიას“ ისმენ შემოგაფცქვენეს მინა-წყალი. ვერ ეურვე ანგარ ოხერს, აერიდ შევითან ომებს, ზოგი შენი ბრიყვი მოყმე, შეერია უცხო ტომებს. განა დგახარ ახლაც მყარად შენსავ წამცვრევე ნასახლარზე, ღრუბლები მზემ ვერ გაჰყარა, ბედი ველარ განაახლე... ჯანსულოთი კვლავ ერთობი, ველარ არჩევ ქუდს და ბოხობს?! ბევრი გახლავს მხნე ობროდი — დაიწყებენ სხვებზე როხროხს... შენი სიბრძნის მაინც მჯერა, ჯერაც ველი შენს კარვ სიტყვას, მომავალს თუ აპყრობ მზერას, ვერ დაგთრგუნავს რაც აქ ითქვა.  
1995წ.



ჯემალ (გული) მიხეილის ძე კვარაცხელია

ბატონმა როზამ აცრემლება არ შეიმჩნია, იგი მდუმარედ, სევდიანად, მაგრამ მადლიერების გრძობით უხრიდა თავს იქ მყოფთ. ზიგიერთმა ჩვენთანგანმა ხელი ფრთხილად გადაუსვა ქვაში გამოსახულ ბრგე ვაჟკაცის პორტრეტს და ალბათ ჩემსავით გაიხსენა კიდევ ცნობილი სენტენცია: „აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა.“

„ლაკადამი“ სუფრა გაშლილი დაგვხვდა. ყოველი საქმე ინიციატივით იწყება და ამ შეკრებასაც ჰყავდა თაოსანი, იუბილარის თანაკლასელი ვალერი ჭანტურია. მან თამადად აირჩია იუბილართან ბავშვობიდან მეგობრად შეზრდილი ნუგზარ ზარქუა. დავინწყეთ სადილები ღვთისა, რომლის ამქვეყნიური წესრიგი მინიერთა განსჯას არ

ადამიანი მარადიულთან წინაყარი უნდა იყოს! ვფიქრობ: ასე გვჯეროდა იმ წუთებში მაინც, ანდა სულაც ასე გვინდოდა დაგვეჯერებინა.

\* \* \*

ჩვენ მას გულის (გულიკოს) ვეძახდით ბავშვობაში და ჩვენთვის ეს სახელი შერჩა ბოლომდე. გაიხსენეთ როგორი სიკეთით სავსე, პურმარილიანი იყო გულის ოჯახი, დედა ზინა და მამიდა ვერა რარიგ ერთსულოვნად უძღვებოდნენ უკაცო ოჯახს, — უშესანიშნავესი ვაჟკაცის, მიხეილის დანატოვარს. მიხეილს უდიდესი პატივისცემით იხსენებდნენ თანამედროვენი, — იგი, ძალიან ახალგაზრდა სწავლული აგრონომი, გერმანულ ფაშისტებთან ომში დაიღუპა. გული მამის ომში წასვლის შემდეგ დაიბადა და ახსოვთ ნალენჯიხელებს დედის აღზრდილს როგორ უწოდებდნენ

ბის უპირველესი გამართლება და ზეციური მკვიდრის პირნათელობა უზენაესის წინაშე. მან შეძლო ყოფილიყო კარგი მეუღლე, შეუდარებელი მამა და ჩინებული ქართველი!

\* \* \*

საიუბილეო სუფრა გრძელდებოდა. სიტყვა ჩამოვარდა: არსებობს თუ არა მეგობრობა? ვალერიმ გაიხსენა: ნაპოლეონს უთქვამსო: „ღმერთო, დამიფარე მეგობრებისგან, მტრებს მე თვით მოუფული.“ კოტემ გააგრძელა ეს თემა: კანტს უწერია „მეგობრობა! მეგობრობა არ არსებობს!“ კამათში გამოჩნდა, რომ ამ აზრს ბოლომდე თითქმის არც ერთი არ ეთანხმებოდა, თვით ციტირებული წინადადებების მთქმელნიც. მამინ ვთქვი და ახლა უფრო



გული კვარაცხელია მეუღლესთან ერთად

# ძალიან ლამაზი, ღირსშესანიშნავი იუბილი!

მეგობრის დაბადების დღე ყოველთვის ღირსშესანიშნავია, მით უმეტეს გარდაცვლილის. უფრო შთამბეჭდავია როცა მეგობრები გადაწყვეტენ მოსაგონარ ძმაკაცს უხმაუროდ, მხოლოდ თავიანთ წრეში, ალუნოშონ ისეთი მრგვალი თარიღი, როგორიცაა 70 წელი.

2011 წლის 10 ოქტომბრის თბილი, ღრუბლიანი დღე იყო.

მაცხოვრის დიდებული მონასტრის სამხრეთით, გალავნის მახლობლად, სადაც ორი საუკუნის ზღვარზე, სულ რაღაც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში შესანიშნავ ნალენჯიხელთა მრავალრიცხოვანი კრებული უკვე მარადიულ სამყოფელში დამკვიდრებულა და ერთმანეთს მჭიდროდ მიჯრილ საფლავთა ქვებში გამოსახულ სურათებად, ქანდაკებებად აღმართულა, ერთ ცალკე შემოსაზღვრულ საოჯახო სასაფლაოს ზღუდესთან 12 მამაკაცი აღმოვჩნდით. მამინვე გავიცნობიერეთ: ვარდ-ყვავილის ამოტანა დაგვინყებოდა. არადა, საფლავს ისე არაფერი უხდებდა, როგორც მიცვალებულისთვის ძვირფას ადამიანთა მიერ მოტანილი ყვავილი. ამ საჩოთირო სიტუაციის გამოსწორება უკვე ძნელი, თითქმის შეუძლებელი გახდა, მაგრამ ყოველივე წარმოსახულზე უფრო ლამაზად დაიწყო: ჩვენს შემდეგ მოსულმა ერთადერთმა ქალბატონმა საფლავთან უმშვენიერესი ვარდები დააწყო, იქვე ღვინოც გაჩნდა და რამდენიმე ბოთლი შამპანურიც.

საფლავს წითელი და თეთრი ღვინო ეპყურა და შეკრებილებმა, გარდაცვალებიდან 14 წლის შემდეგ, ზეციურ საქართველოში მივულოცეთ დაბადებიდან 70 წელი ჩვენთვის მარად ცოცხალ მეგობრას ჯემალ (გული) მიხეილის ძე კვარაცხელიას. ვარდების მომტანმა მისმა მეუღლემ, ქალ-

ექვემდებარება.

ბროლის ყანით შეისვა იუბილარის ხსოვნისა და მისი ჯალაბობის კეთილდღეობის სადღეგრძელო. თითოეულმა ცალ-ცალკე და ყველამ ერთად დავასურათხატეთ პორტრეტი ადამიანისა, რომელიც ძვირფასი იყო ჩვენთვის ისეთი მეგობრობის უნარით, რაც მყარად აღიბეჭდება გონებაში, — მახსოვრობას სითბოსა და სისათუთეს სძენს. მეუღლე როზას, შვილებს — ნათია და ნინოს, ძმას გივის სადღეგრძელოებით მივეფერეთ. თანაკლასელი კიდევ ოთხნი ვიყავით: კოტე ჩიქობავა, როინ კალანდია, თამაზ გვაჯავა და თქვენი მონა-მორჩილი, — ერთადეც გვადღეგრძელეს. შემდეგ ჩვენ ვადღეგრძელეთ დანარჩენი: ორდენ ღვინჯილია, რუზო შონია, გიგორ ზარქუა, გოგი ჭანტურია, გივი ხარჩილავე, გონერ სალია.

სათქმელთა ცენტრში კვლავაც იუბილარი მეგობრის გოლიათური ფიგურა იდგა. იმ დღეს იგი ნამდვილად ჩვენს შორის იყო თითქმის ყოველთვის სიკეთით აციმციმებული თვალებითა და განუმეორებელი ღიმილით, ახლა რომ მის ბევრ ფოტოსურათს ამკობს.

საერთოდაც ვერ წარმომიდგენია მისი არარსებობა, ისევე, როგორც მარადიულთან გონიერებით ნილნაყარი ადამიანებისა, — იმიტომაც, რომ მინიერ ერთხელ ყოფნაში ნაწილობრივადაც ვერ იხარჯება ჩვენი სულიერი შესაძლებლობები: — ენერგია, სურვილი და უნარი!

გონი ციურ თაღს, უფალსა და ვარსკვლავებს უკავშირდება.

მონატრებული, სასურველი, ძვირფასი ადამიანის სული ჩვენთვის ხომ ვარსკვლავით ბრწყინავს ცის კაბადონზე. ამასთანავე, ვინც აქ სიყვარული დატოვა, სხვებშიც აგრძელებს მინიერ სიცოცხლეს.

თიკუნად „ზინაევიჩს.“ გავიხსენეთ დესპინე, მიხეილის დედა, სიკვდილამდე შვილის მოულოდნელად გამოცხადების მოლოდინში რომ იყო და შვილიშვილების, გივისა და გულის მეგობრებთანაც საერთოს რომ პოულობდა. ზოგ მათგანს კი უგემრიელესი ხაჭაპურებითაც თავი დაგვამახსოვრა.

გავიხსენეთ გულის ტექნიკუმში სწავლის წლები, შემდეგ პირველი შრომითი ნაბიჯები ნალენჯიხის ატკ-ში, — ყმანვილკაცობიდანვე მისი განსაკუთრებული უნარი ყველა თაობის ნალენჯიხელებთან მეგობრობისა. მისი შესაშური თვისებები გულუხვობისა, მასპინძლობისა, მეოჯახეობისა.

გავიხსენეთ მისი დაკრძალვის ზარდაძვნილი დღე: სამძიმარზე მისული ათასობით ნალენჯიხელის, — თბილისიდან, ზუგდიდიდან, ხონიდან და საქართველოს მრავალი რაიონიდან ჩამოსულ მგლოვიარე ნათესავ-მეგობართა გაოგნებამდე დამწუხრებული სახეები...

ქალბატონი როზა სუფრასთან ახლაც მგლოვიარედ, ძალიან სევდიანად იჯდა. გულაჩუყებულმა კვლავაც დიდი მადლიერება გამოხატა სუფრის წევრებისადმი და შეზინდებისა დაგვტოვა.

და მე ვფიქრობდი: ჩვენს მეგობრს, გულის, ისევე როგორც თითქმის მთელ ჩვენს თაობას, უღმერთო საზოგადოების შეილებს, ცხადია, ახალგაზრდობა უშეცდომოდ არ გაუვლია, მაგრამ მან შეძლო უმთავრესი: გაილამაზა ანწყო, — მართლა ვარდივით მშვენიერ მეუღლესთან (როზა ხომ ვარდია!) ერთობლივი სწრაფვით აიხდინა ათეული წლის ოცნება და მათ ქვეყანას მოუვლინეს ჭეშმარიტი სიყვარულის ასულეები, ახლა ცხოვრებაში დამოუკიდებელ ნაბიჯებს რომ დგამენ. ეს იყო გულის ამქვეყნიური არსებო-

დანყობილად უნდა გავიმეოროთ მიუხედავად იმისა რომ ორივე მსოფლიო ისტორიაში უდიდეს პიროვნებათაგანია, თანაც ფრანგები გონებამახვილობით, გერმანელნი სიბრძნით არიან ცნობილნი, ჩვენ ქართველნი იმ სიბრძნეს უფრო ვეყრდნობით, ასევე მსოფლიო კორიფემ, რუსთველმა რომ გვაზიარა, — მეგობრობას „გზად და ხილად“ ვსახავთ თვალწინ.

## მყავდა ბავშვობის მეგობარი

ჯემალ (გული) მიხეილის ძე კვარაცხელიას ხსოვნას

მყავდა ბავშვობის მეგობარი, ერქვა გულიკო, პასპორტში თუმცა ჩაუნერეს მერე ჯემალი, ჭირსა და ლხინში ძმობისათვის ის მზად სულ იყო და სიყვარულის შეგვატოვა ძმაკაცებს ვალი. ჩვენ სკოლის მერხზე, ძალზე ზშირად ვისხედით ერთად, სალაზლანდაროდ შინისკენაც ერთი გზა გვედო, შემოვივლიდით ახლო-მახლო მდებარე სერთა, სტუმარს ხაჭაპურს მთავაზობდა გულიკოს ბებო. შავი თავსაფრით თვალებამდე მავკაცებულ შუბლი, მზერაში მუდამ ომში წასულ ვაჟკაცზე სევდა. დედისერთაზე ნალევს ჰფენდა იმ ოდის ზღურბლი, შინმოუსვლელი, პატარა ბიჭს, მეც დარდში მხვევდა. მამის ცხელ კვალზე იზრდებოდა ორი ბოკვერი, სწევდა ცალ უღელს შეუპოვრად ბუჯითი რძალი, თანდათან, ნელა, იქ ცხვებოდა ობლების კვერი, უხვი დოვლათი ხვავდებოდა ბიჭების ძალით. ჰოი, უმცროსი! — რა ვაჟკაცი დადგა გულიკო! შემუშრდებოდათ თვით დევებსაც მოყმის მხარ-მკლავი. არა მგონია შესადარი ვინმე თუ იყო, ყველას გვიხილავდა ბრწყინვა მისი ბედის ვარსკვლავის. ძალიოვან ჭაბუკს გული ჰქონდა სიკეთით სავსე, კაცურ საზრუნავს ერთგულებით და საქმით განვდა, დარდიმანდულად ხელგამოილი იხვეჭდა სახელს და არც პირადულ ცხოვრების გზას დააკლო განცდა. გვიან მონახა გულისტოლი და მაინც შეძლო დაეფრთიანა მამულისთვის ნინო, ნათია.

სწყუროდა მათი სიხარული ბოლომდე ეგრძნო, ახლა ორივე ამომავალ მზისებრ მნათია. რარიგ უეცრად ჩამოხვდებოდა, უნდო საწუთრომ მოულოდნელი მეხთატეხით დასცა ძმელ მუხა, მე მის სიკვდილში არეულ დროს ბრალსა ვდებ უფრო, ქართველი კაცის საშინელ ხვედრს, ო, რარიგ ვწუხვარ! ბევრჯერ გაუთქვამს გული მხარედ ვით დაეჩაგრა, ბევრ სხვათა მსგავსად ვით არბევდა ჟამთა სიავე, მაინც ძალუმად ცხოვრების არსს ეძებდა, მაგრამ მაცოცხლებელი აღარ ქროდა უკვე ნიავიც. ძმო გულიკო, დღეს წარსულში როცა გიგონებ, მხოლოდ არშიამეშველებულ დიდ სურათს ვხედავ. შენს სახლში შესვლა ძალზე მიჭირს, ობოლ გოგონებს რა ვუთხრა, რაღა ნუგეში ვცე ანდა მათ დედას?! არა, სათქმელი როგორ არ მაქვს, მჯერა, მომავალს მათ გაუკვალავს შენი კაცურ კაცობის მადლი, ჩვენო კეთილო ჰერკულესო, საფლავზეც ავალთ და მოვიოხებთ წრფელ ცრემლებით შეხვედრის ნადილს. საფიცარ ძმაკაცს გეტყვი სიტყვას დარდისგან ნაგებს: მე უშენობას ვერ ვიგუებ ვერასდროს ანიც. შენ დამიმშვენიე სიჭაბუკე და სიჭარმავე, სამარადჟამოდ დაეფუღე ჩემს გულის ნაწილს. იმასაც გეტყვი: გარდუვალი გარდაცვალებით სიცოცხლეს, აბა, რა შეამკობს სიკვდილის მეტი, გაღმაც იხილავს მჭვირვალ ნათელს შენი თვალები, რადგან ამქვეყნიად გული გქონდა ვით ნათლისვეტი. მყავდა ბავშვობის მეგობარი, — მართლა გულიკო, პასპორტში თუმცა ჩაუნერეს მერე ჯემალი, ჭირსა და ლხინში ძმობისათვის ის მზად სულ იყო და სიყვარულის შეგვატოვა ძმაკაცებს ვალი.

თამაზ ფიფია VII. 1998წ.



მეგობრები გულიკოს საფლავთან. 10. X. 2011წ.

მონატრება

კუძღვნი აფხაზეთში სახელგანთქმული ლოტბარის სარა (სერაპიონ) ოკუფაციას მომღერალ ოჯახს.

როგორც მეხმა გააპოს მყუდროება ხმაურით, ყანა ნამოაქოჩროს შემობრუნებამ ზღვაურის, მეც იმგვარად მეკვეთა მონატრების ჩანჩქერი, სული თქვენკენ გამიბრის, ვერ ვარ მისი დამტყერი. მოგონებამ იმძლავრა, გამიხელა გრძნობები, მოვიშორე გულიდან უმალ დარდის ლოდები. თითქოს ფრთები შევისხი, გადავლახე მანძილი, მელიოდება ფაცხაში ლხინის ტაბლა გაშლილი. ამჯერადაც თამადავს ფაცხის დიდი პატრონი, მომღერალთა სარდალი — თავად სარა ბატონი. თითქოს იყო ოლიმპო, ცხრავე მუზის საუფლო, ოლონდ მუზას სიმღერის ედგა ტახტი საუფლო. ლულუნებდა კერია, ფაცხის კუთხეც, ლაფაროც, ცელეობდა ბურუსი საოცრების სამყაროს: „სი სოული, ბაატა“ — გულს კოდავდა ნამღერი, მოხეთქავდა ხმებიდან მძიმე სევდის ლანჩქერი. „აშო, ჩელა“ — გამინავდა ბედ-ილბალი ჩაგრულის, ცოცხლადებოდა სიმღერით ცრემლიანი ნარსული. „მოუ, ნანა“ — ქვითინით სულის ტკივილს ერწყმოდა, „ბატონებო“ ხვეწნა კი ცაში უფალს ესმოდა. ქვას ხეთქავდა გოდება დედის „მირანგულასი“, შემდებოდა ადგილზე თვით სასტიკი უნასიც. „მახარია“ და „მახა“ გაინდებულს მესმოდა ანგელოზთა გალობად თვით სამოთხის ჩეროდან.

განა მარტო მესმოდა, ხმის ფერსაც კი ვხედავდი, მონუსხული ვიჯექი, სუნთქვასაც ვერ ვხედავდი. „აკა სი რექიმოსი“ და „ზამთარის“ ქორალი მახსოვს ისე, ვითარცა სატრფოს ნაამბორალი. „ვაგიორკო მა“-ს კენესას, მუდარას და ვედრებას, ასე თრთოლვით ნაგალობს ნეტავ, რა შეედრება? ანდა როცა მღეროდიტაქარმაგით „სულიკოს“, არ მეგონა მანამადე ასე ტკბილი თუ იყო. როგორც მორდუს ალერსი ან დასიცხულს ცის ნამი ისე შეპკურებოდა აფხაზური „მიშნანი.“ თქვენი ხმებით ნაქარგი „ოზბაქი“ და „ვარადა“ ყველა ნაღველ-კაემანს მალამოსებრ ფარავდა. ნაზი „შენ ხარ ვენახი“ სმენას მიფაქიზებდა, ეზო, შემოგარენი ჰანგებს ველარ იტყვდა. „ართი ვარდი“ გარშემო ვარდის სურნელს აფრქვევდა, „მშვენიერო, შენ გეტრფი“ ტრფობის სიმებს არხევდა. ზეიმობდა ტაბლასთან „გეშვი“ და „მაცურული“, „ერეხელი“, „ალილო“, „იმერული მგ ზავურული“, „ჩემო კარგო ქვეყანავ“, „ჩონგურო“ და „ქალგულო“, ყველა კუთხის „ნანინა“ — საასულო — საწულო. ამათ ენაცვლებოდა გალობათა სერია (არა მჯერა, თუ სადმე ასე ტკბილად მღერია). ხმებს იქნევდით ხმალივით ვაჟკაცურად, მეფურად, როცა ქუხდა გურული თქვენი „ხასან ბეგურა.“

და „შავლეგოს“ გრგვინვაში. გული ყალყზე დგებოდა, ზოგჯერ არც კი მჯეროდა, რომ ეს ცხადში ხდებოდა. „ოდოიას“ გრიალში თუ „ლილოს“ გუგუნში სულში მზე იჭრებოდა, როგორც შუქი უკუნში. „მოძახილის“ მოძახილს ფაცხა რყევით ხვდებოდა, ქვევრებიდან ადესის მადრეწები დგებოდა. ცის თალს აზანზარებდა თქვენი ყველა „ლაშქრული“, ყურს გიგდებდათ ჩემსავით მონუსხული ჯამბული. \* გრძელი „მრავალუამიერ“ იფრქვეოდა კახური, თაფლს ჩაგრავდა სიტკბოთი, აღარ უნდა დასტური. ახლაც, როცა ჩამესმის „ნინწყარო“ და „ჩაკურულო“, ფერი გიფერმკრთალდება წარმოსახვავ, ზღაპრული! „შავი შაშვი ჩიოდა“, „სისატურა“, „კვირია...“ თქვენი ხმების ხავერდი მართლა გასაკვირია რა სიმებმა დაბადა ხმები ასე მზიანი, ხმები, ვით შემოდგომა, უხვი, ბარაქიანი?! იღვრებოდა ბადავად, როგორც კოცნა პირველი, ჰარმონია ბგერების ამო და საკვირველი. სააქაოს არ ვიყავ ოცნებებში ჩაფლული, საოცრება ყოფილა სული ჰანგში ჩანწული! აჯიბრებდით ერთმანეთს ხმებით ბარს და ლაკადას, ადიდებდა სიმღერით საქართველოს თამადა, ბევრჯერ ამაზეიმეთ, ბევრჯერ ცრემლიც მომგვარეთ და ვინმუნე, რომ ხმები მაფშალიებს მოჰპარეთ! ნეტავ, როდის მელისოს იმ ჰანგების მოსმენა, ძველებურად ფაცხაში, კერის პირას მოლხენა?.. მონატრების ნამყოფით


გული მკერდში არ დგება, ისევე თქვენკენ მივინევი, ისევე ლხინი ჩაღდება... მაგრამ მონატრებანი ჩქარა ქრება თვალიდან, მწარე სინამდვილეში დაბრუნება არ მინდა. ვაი, თვალს მიეფარა ის ფაცხაც და ის კერაც, მზეც ვერ ფანტავს იქ ბურუსს, რომ არ ისმის სიმღერა. ახლა ცრემლად იღვრება ფაცხის კუთხეც, ლაფაროც, ენატრებათ სიმღერა — საოცრების სამყარო. უსიმღეროდ ვერ ძლებენ დარბაზი თუ ჩარდახი, შემოჭურვებს შემყურეს საშინელი ჰარტახი: სამამულეს ვერ ისხამს რქას მალღარი, დაბლარი, ქვევრებს ფსკერს ვერ უსველებს მონუსხულზე მაჭარი; თუ დაარღვევს სირუმეს, მხოლოდ შაშვის ჭახჭახი, გულს გაუპობს გულქვასაც უტყვთა ვაი-ვაგლახი; გზა ეკალმა დაფარა, ხეებს ახრჩობს ფათალო, რა შეგცოდეთ ასეთი, გვარქვი, ღმერთო მალალო! ...უცებ ისევე ოცნებამ გამომგლიჯა სადავე, შემომიჩნდა აზრები, თითქოს არასადავო: იქნებ ისევე სიმღერამ შეკრას ამერ-იმერი, ეგებ სიმხნედ გაგვიჯდეს გულში მადლი სიმღერის! გააცოცხლოს ქართველის სირაუქე ნაქები, დაგვავინყოს განწყობა დამარცხების, ნაგების; აგვიჩქროლოს ძარღვებში სისხლი მამაპაპური, ამოართვას გულდედალს სული არაკაცური; ცოტენე, ცხრა ძმა, თევდორე გამოიხმოს ნარსულით და სამასი ხევისურის შემართება ზღაპრული... თორემ დღე-დღე ილევა, როგორც ტყავი შაგრენის,

ჩვენი მინა-მამული, გადამტანი რამდენის! უპატრონო საფლავებს ბილნავს მტერი ვერანი, ჩვენვე თუ არ ვივარგეთ, ვერ გვიშველის ვერავინ!.. იქნებ, ისევე სიმღერამ გააღვიძოს მთვლემარე სული ჩვენი, ოდესღაც უდრეკი და მგზნებარე, და ერთხელაც განგამის დავარიცხოთ ზარები, ნიკოფსიას, დარუბანდს ისევე შევხსნათ კარები! შემოვავლოთ სამშობლოს შეუვალი ზღუდენი, გავასწოროთ საზღვრები, დღეს ესოდენ მრუდენი!.. ..ხედავთ, ფიქრებს, აბეზართ, ვერ დავუდებ სამანი. რა მოკლეა, ჩვენს მთა-ველს დღეს რომ ფარავს საბანი?! გაგვიცივდა კერია, ღველფი ჩაგვინახშირდა, სინარულმა იკლო და ვაება კი გახშირდა. სულს ჰკიდა ნაფლეთად ქანცაცვლილი სხეული, ნუთუ, უკვე შეივსო ჩვენი ბედის რვეული? არა, არა და არა! ასე ფიქრი არ ვარგა, ჩირად არ ღირს არც ერთი, ვინც იმედი დაკარგა. ჰოდა, გულს ნუ გაიტყვით, კუ შედრკებით ნამითაც, კვლავ ადიდეთ სიმღერით ჩვენი ზეცა და მინა! დაამეთ იარა დაჩეხილი მამულის, ერთგულთ — „ჰკა“ და „არული!“ კვლავ დაატყვით ჰანგებით მშობლიური მთა-ბარი — გვედრებთ შორიდან უპატრონო სახლ-კარი! კვლავ იმღერეთ, ბიჭებო, დღემდე ვით გიმღერიათ, რომ სიმღერით გაათობოთ ცეცხლჩამქრალი კერია!

რეპაზ სალიბ, დენილი აფხაზეთიდან.

გაი, სიკვდილი! სჯობს ტყუილით ქვეყნადას, ზე სიმართლით ავიბარო. დავით გურამიშვილი.

ნეტამც სიმართლის დრო იყოს, სიცრუე წესად ქცეულა, — გადელღებული მამლები ყივილსაც გადაჩვეულან... ვაი, რომ მოყვრად შევრაცხეთ მტერი ღიმილით მოსული, ამადაც ქვეყნის მერმისი ბურუსითაა მოცული. სიყალბე გაგვიბატონდა, მიტომც მივმართავ სატირას, — ჩვენ გვამღერებენ მაინაც, როცა საქმე გვაქვს სატირად. უმალ მწვანე მუქს უნთებენ, უზნეობას ვინც ისურვებს, — სიმართლეს გადაჩვეული ტაშს ვუტყაპუნებთ სიცრუეს. უმსგავსი სერიალებით თავი რომ გამოულაყვს, — თავაშველები დიაცნი ძილშიც უხმობენ „ულაყვს...“ როცა უამრავ გასაჭირს არც ვიცით, რით ენამლება, — ვილაც სულმდაბალს მოუნდა ასეთ დროს სექსის სწავლება. რარვი აქციეს უღვთოთა უიმედობად „იმედი“, — ამნაირ გათახსირებას მაინც ვერ წარმოვიდგენდი. ტელეეკრანზეც გამოჩნდა, თითქოსდა გვაკლდეს მაფია, ჩარხი უკულმა ტრიალებს, როცა დროც უკულმართია. ეს რალა საეკრანოა, იმ ქუაყუტებზე რა ვუთხრა, — ბედნიერებად რომ უჩანთ პირსახის კრემით გათხუპნა. როდესაც მომრავლებულა აკვნების ნაცვლად საკნები, მოკეთედ მიგვიჩნევია სამშობლო ქვეყნის ამკლები. ვაი, რომ დაგვიწყებია ჭირთან ბრძოლა და ჭიდილი, — როს ავადღება სიცოცხლე, — რარიგად ლალობს სიკვდილი ეს რალა დასამალია, შეცოდებაც რომ დიდია, —



რინოს კვარაცხელია

ქართული პოეზიის დიდ მდინარეს, უკვე რამდენიმე ათეული წელია, წალენჯიხიდან ერთვის რინოს კვარაცხელიას ღრმად-დამიანური, სევდიანი ლექსების ნაკადული — 80-იან და 90-იან წლებში მკითხველი ინტერესით გაცნობდა მისი ლექსების კრებულებს. ბედმა მწარე ხვედრი არგუნა პოეტს — დაფრთიანებული ორი ვაჟკაცი მოსტაცა ზღვის სტიქიამ და ცხოვრებისეული სიხარული დარდ-ვარამით შეუცვალა. მისთვის ამაზრზენი იყო ქუხილი საქართველოს მონმენდილ ცაზეც, როცა თავისუფლების კაშკაშა მზე თანამემამულეთა მიერ ხელოვნურად გამოწვეული, მოულოდნელი მეხთატებით გაჩენილი ხანძრების კვამლმა გადაჰფარა. სამშობლოს დიდმა გასაჭირმა ბატონ რინოსის ჭმუნვარე კალამს ახლებური შემართება შემატა. იგი პირუთენელი, მართალი სიტყვით მტკიცედ დგას კრიმინალური გადატრიალებით გაუბედურებული ქართველი ხალხის ინტერესების სადა-რაჯოზე, რისი დასტურიც იყო და არის ჩვენს გაზეთში როგორც ადრე გამოქვეყნებული, ისე ამჟამად შემოთავაზებული ეს ახალი ლექსები.

გიშების ჭაში

შემოდარცვია მავანს სინდისი, ამადაც ურცხვად ცრუობს და ფლიდობს; ზოგს ფულს უხდიან ხმის ჩაკმენდისთვის,

ვაი, სირცხვილო! მავანნი სულს და ხმას გროშად ყიდიან... საქართველოში ვინც ამბობს — „ცხოვრება მშვენიერია,“ — ფარისეველი ვინმეა, ანდა დიახაც შტერია. ჩვენს ქვემოთ მოსჩანს უფსკრული, რისხვა მზადდება ჩვენს ზემოთ, — ჩვენ ხშირად ტვინნაღრმობით დამარცხებასაც ვხეივობთ. პატრიოტობას იჩემებს ზოგ-ზოგი თავლაფდასხმულიც, — როცა სულს ღაფავს ქვეყანა მათ მიერ დაჭმულ-დახრული. ნეტამც სიმართლის დრო იყოს, სიცრუე წესად ქცეულა, — გადელღებული მამლები ყივილსაც გადაჩვეულან. ზოგს ლაყბობისთვის აძლევენ ჯილდოს... ილბალს მამულის ვინდა დაგიდევს, ამღვრულ წყალში ლალობს მედროვეც; ძეგლებს უნგრევენ ახლა რაინდებს, რომ არ გვახსოვდეს ბერი თევდორე... ჩვენ გვაგინებენ ნელ-ნელა წარსულს, დღეს სხვაგვარი ჰყავს ბავშვებს გადია; გულმარდი ხვდება, სატანას რაც სურს, — არვინ მიჰბაძოს ცოტენე დადიანს... ღმერთს ზურგს აქცევს და ეშმას ადიდებს საკუთარ დედას ვინც არ დაინდობს; ძეგლებს უნგრევენ მიტომც რაინდებს, — რომ ქვეყნად არვინ არ დაინდოს... დუჟმორეული ბრაზით და ჟინით, ღვთივდიდებულთა შური

და ზიზლით, გაუგონარი რიხით და ხინჯით, — კვარცხლბეკზე გმირის ასკუპდა გიჟი. 2011წ. ყაშუ კედელი მდიდრულ ცხოვრებას ჯახირისაგან მიჯნავს ეს ცივი და ყრუ კედელი, — ამიტომაც ჩვენს ტანჯვა-კვნესას არავინა ჰყავს ყურისმგდებელი. ყრუ კედელს მიღმა სამოთხის დარი დულს ცხოვრება და კეთილდღეობა; ხალხის ნუხილი და გლოვის ზარი ამადაც უჩანთ სასიმღეროდ. აცხობენ ახალ იგავ-არაკებს, ხრავენ მამულს და მუცელს ატკობენ, იცვლიან ბინებს და აგარაკებს და მხოლოდ სიტყვით დემოკრატიზაცია. „რევოლუციით“ მოვიდნენ რადგან, სურთ საქართველოს ღდინი

ადინონ, აისრულევენ ყოველგვარ ნატვრას, — თუნდაც ჩიტის რძე მოინადინონ. გაზულუქებულ და დუხჭირ ყოფას მიჯნავს ეს ცივი და ყრუ კედელი; აქეთ ნამდვილი ქართველობაა, იქით კი — კასტა შეუსმენელი.

სიტყვით ღაჭკილი

ჟამი უჟმური სუყველას თარსავს, გადააჩვია ტკბილ სიტყვას ბევრი, — ახლა კარპაჭმის ისრების მსგავსად უწყვიათ ბილნი სიტყვების ჯერი... უწყვიათ მიჯრით სასტიკი გესლი,

ადამიანთა უსისხლოდ მკვლელები; სიტყვა, რომელსაც მავანი გესვრის, — გაისივილებს, ვითარცა გველი... რამდენი დადის სიტყვით დაჭრილი, — შხამიანი და როყო სიტყვით, — ვითარცა ტყვია გულში გაჩრილი და დაღუნილი ვენახი სეტყვით... ჟამი უჟმური ყველაფერს თარსავს, გადააჩვია ტკბილ სიტყვას ბევრი, — ახლა კარპაჭმის ისრების მსგავსად უწყვიათ მკვლელი სიტყვების ჯერი.

უკუსგლა

წინსვლის გზა ჩახერგილია, წინსვლად საღდება უკუსგლა; სამშობლო დაღვრემილია, — ისე იმძლავრა ბურუსმა... ოხვრა-ტირილის ხმა ერთვის აქ ამღერებულ შადრევანს; სჩანს საქართველოს მერმისი უფრო და უფრო შავდება.

6

ღმერთო, იხსენი მამული, გველს გამოსტაცე ხელიდან; ყველა ორგული მგონია, ვინც დადის გულარხინად.

სოფლის სუკათი

დაკნინებული ვაგლახად, გული დამწყვიტა ნანახმა, — ნუთუ დასწყვიტა ემპაკმა, ნუთუ გამჩენმა დალახვრა... თავს დაყრანტალებს ყორანი, მზე ძლივს გამოკრთის ხანდახან, არეს იკლებენ ყვავები, — მრავლდება მათი ბახალა... სჩანს უკაცური სახლ-კარიც, ვაი, რომ კერა ჩამქრალა, — გულს უმძიმს დადუმებული ამგვარი ეზოს დანახვა. ჰე, მკვიდრო, ამა სოფლისა, მინდა ვიყვირო, სადა ხართ, — სად გაქრა სოფლის სისახესე, რა უბედობამ დაზარა?.. იღუმალ მესმის სუსტი ხმა, რაც მგლის ყმუილმა დაფარა, — ჩამოიარა რჯულძალმა, ხარივით წაიბალახა...

\*\*\*

სატანა ანგრევს სულიერ საყრდენს, — რყევა შეუდგა ტაძრებს და საყდრებს... ყოველ ნაბიჯზე არის საგრძობი, — ბევრია ჩვენში ჭკუანადობი... ხალისით გახსნეს პანდორას ყუთი, — უბედურებაც არ გვტოვებს ნუთით... ჩვენმა ვაებამ დიდხანს გასატანა, — ღმერთად შევრაცხეთ რადგან სატანა.

ჩვენი ავ-კარგის იყო გამგები, ღვთისგან მოვლენილს ვერ მოვუარეთ, — მისი მკვლელი და ქვეყნის ამკლები, — კრწანისში ზის და წერს მემუარებს.

უსიზმრო ღამე

სიზმარი ცასთან არის კავშირი, რალაც ზღაპრული იდუმალეობა, უსიზმრო ღამე არის ნახშირი, ზეციურ ნათელს რომ ემალეობა... უსიზმრო სული ვერ სწვდება ზესკნელს, ველარ დაფრინავს ოცნების ფრთებით, უსიზმრო კაცი ვერ დაწერს ლექსებს, მისთვის ერთია შავი და თეთრი... უსიზმრო ღამე სარკოფაგია, სიზმარი ღმერთთან სულს აახლოებს, და სიცხადეში რაც დაჰკარგვიათ ხშირად სიზმარში პოვებენ ხოლმე.

ლექსი — საზვალე

ლექსი სულისთვის არის საგზალი, — ზეციერი რომ შუქად აგზავნის... სულს დაუდგომელს მქროლავს უსახვროდ, — გზადგზა ლექსმაც უნდა უსაგზლოს. გაუჭირდება სულს უამისოდ, — ბნელთან ჭიდილი სადღელამისო... ლექსი სულისთვის არის საგზალი, — რომ არ გაუჩნდეს ჩვენს გულს ნაზხარი.

ულუკია, — ჩემი (ღაბაღა)

ეს ქალა ჩემი ოდაბადეა, ჩემი სავანე და სავარდოა. გამორჩეული შრომით, მოლხენით,

თანადგომით და ჭირთა მოთმენით. ტყით და მდინარით, თვისი კლიმატით, — აქ სახლობს ხალხი ენაკვიმატი. არ უწერია ყოფნა უწყინრად, — თვით ულურია ნიშნავს უძინარს. მოედინება აქვე ლაჩახვა, — ხან ბობოქარი, ხანაც ჩაქაჩა... მეც აქ მარჩხაზე ვაგებდი ფაცერს და ვარსკვლავებით მხვდებოდა სავსე... დღეს კი გარდასულ დროთა ნატეხარს, — ჩემი ბავშვობის ვეძებ ნატერფალს... ის დრო ნეტარი ხსოვნად ინაცვლებს, აქ ვესიტყვები ჩემს ნინაპრებს... ო, ულურია, გულისოდენა, — დედის ლოცვა და ცრემლის მოდენა...

ღკო უკუღმავთი

დამჩემდა რატომღაც ფიქრის მოძალეობა, — უხეშობს დრო-ჟამი, გაქრა მოკრძალება... ამ დრომ უკულმართმა ველარ მანუგემა, — სათნო ოდითგანვე სული გაუხეშდა... ჟამია იმგვარად მკაცრი და მრისხანე, ტკბილ ნაყოფს ხეხილნიც რომ ველარ ისხამენ... გაცივდა დროება და რა დროს ლექსია, — როცა ჩვენს გარშემო ამდენი გესლია...

\*\*\*

ზეცა დაგრაგნა საშინელმა ისევე წყვილადმა და არვინ იცის, ცაზე სხივი როსლა იელვებს, — საქართველოში ქართველობა დევნილია და შინა მტრები კი მწედ უხმობენ გადამითილებს... გამოჭრილი აქვს ხარს ვეებას ყელი უდანოდ,

ვაგლახ, იმედის არ ბიბინებს არსად ჯეჯილი, — დამსგავსებია ეს ქვეყანა ნამდვილ უდაბნოს, — ორგულებისგან ასე ულვოდ გადაჯეგილი...

გზანდობის კეზლი მოქანდაკე უშანგი ქადაგიშვილისადმი

თუ ყოველივე ხდება განგებით, გრანელს იღბალი მართლაც ჰქონია, — დრო ახლოვდება მისი ვაგების, ზურგის ქარს ისე დაუქროლია...

ვინც ლექსად ენთო და ცას ელტვოდა, იღუმალ წყვეტდა ლექსების კონას, ვინც ბნელ ქუჩებში ეხეტებოდა და სულს ანთებდა ჭიაკოკონად... არ შორდებოდა ჭმუნვა და ურეა, ჭვრეტდა სანუთროს ფიქრში დალილი და უმეტესად მშიერს და მწყურვალს ზამთრის უყეფდა ყინვა ძალღივით... მისჩერებოდა ცას ნალვლიანი, ქანცგანწყვეტილი ღამეთა თევით, — გამორჩნდა კაცი ხელმადლიანი და ანგელოზის შეასხა ფრთები... ბოლოს და ბოლოს ხომ გატყდა ნავსი, მისდამი სწრაფვა არც თუ განელდა, ან და მარადის უკვდავებაში ადგილი თვისი ჰპოვა გრანელმა. გზა დაულოცა ისე გამჩენმა, — დასრულდა ჟამი მიეთ-მოეთის; კურთხეულია მისი მარჯვენა, ვინც ქვას ჩაუდგა სული პოეტის... თუმცა სულიდან დამრუბ მიანცი არ და- ისე ცხარეა, — ქვასაც კი ალობს, — ასე მგონია, გრანელის ძეგლიც ცისკენ ნავარდით აფრენს ლამობს.

რინოს კპრაცხალია. 10 ოქტომბერი, 2010.

ღვანელმოსილი ბიბლიოთეკარი



ია, ფუფული ფიფია, ძევე სონგულია... ერთხელ, ამ წრის წევრებმა ავ. წერეთლის უკვდავი პოემის — „გამზრდელის“ მიხედვით პიესა დადგეს, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად. ამ პიესით გამოდიოდნენ — ნალენჯიხაში, ჩაის №2 ფაბრიკის ტერიტორიაზე, ჯიხაშკარში, ლიასა და ჯვარში.

ჩელის სახელობის ბიბლიოთეკის გამგედ. 1956 წელს ბიბლიოთეკაში წიგნები დაახლოებით 500 ეგზემპლარამდე ითვლებოდა. ქალბატონმა ფუფულიმ კატალოგი შეადგინა და მკითხველებს მისით სარგებლობას ასწავლიდა. ასევე მოძრავი ბიბლიოთეკა გახსნილი ჰქონდა ლეონტი კილაგას სახლში; კულტსაბჭო ბიბლიოთეკაში ხშირად მკითხველებთან შეხვედრებს ატარებდა, განსაკუთრებით ხშირი შეხვედრები, აქტიურ მკითხველებთან, უხდებოდა ჩვენი სოფლის სასიქადულო შვილს, გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქტორს გრიგოლ (გრიშა) საჯაიას. აქტიური მკითხველები იყვნენ: გოგო მესხია, ვახტანგ გულა, ალექო სონგულია, ნარგიზა ფიფია, პოლიკო ხუნწარია, იგორ ფიფია (მოსწავლეებთაგან), ვალოდია ხარჩილავა, მამია მესხია, ბიქტორ ხარჩილავა, აპალ მესხია, იპოლიტე კაცია, კოკი ხარჩილავა, ავთო ფიფია, ვარლამ მესხია და მრავალი სხვა.

ქალბატონ ფუფულის კარგი მუშაობისათვის სამინისტროდან მიღებული აქვს სამი სიგელი. 1962 წელს ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭა „საპატიო ბიბლიოთეკარის“ წოდება. ხუთჯერ აირჩიეს სასოფლო საბჭოს დეპუტატად, ოთხჯერ — სახალხო მსაჯულად. ორი ათეული წელიწადის მანძილზე იმუშავა ობუჯის ბიბლიოთეკაში

და ამ ხნის განმავლობაში პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა მკითხველთა მიერ. აფხაზეთის ტრაგედიამდე ოჩამჩირის რაიონის სოფელ ახალკინდლში ჰქონდა ოჯახი, საყვარელი შვილის გარდაცვალებამ ღია ჭრილობა დააჩნია მის კეთილ გულს მაგრამ მაინც არ დაცემულა... ახლა კი, თითქმის ორი ათეული წელია, რაც ობუჯია და სათუთად უვლის და შთამომავლობას უნახავს საქართველოს დამოუკიდებლობას შენარული პოეტის — დანიელ პავლეს ძე ფიფიას ბიბლიოთეკას. საპატიო ასაკის მიუხედავად, ქალბატონი ფუფული დღესაც მხნედაა და მომავლის უკეთესი რწმენითაა აღვსილი. ვუსურვოთ მას ჯანის სიმრთელე, ხანგრძლივი სიცოცხლე და ყველაფერი საუკეთესო ცხოვრებაში!

ა. მზარაღა

ცხოვრების საკმაოდ გრძელ გზაზე ბევრი სიხარულიც განუცდია და... მწარე ხვედრებიც გაუზიარებია, განსაკუთრებით ძნელი გადასატანი აღმოჩნდა მისთვის განგების მიერ „გზად ხვედრებული“ უბედურება: საყვარელი, ერთადერთი ძის — როლანდის (განუკურნებელი სენით შეპყრობილის) გარდაცვალება და ულამაზესი აფხაზეთის დაკარგვა, რომელთანაც მისი ცხოვრების გარკვეული წლებია დაკავშირებული...

როგორც ქალბატონი ფუფული იხსენებს, კლუბს ასევე მოჭადრაკეთა წრე ჰყავდა, მისი აქტიური წევრები იყვნენ: ვალოდია ხარჩილავა, ავთო ფიფია, აბელ მზარელუა, ვანო მესხია და სხვები. კლუბში ხშირად ლექციებიც ტარდებოდა სხვადასხვა თემაზე. მაგალითად, სოფლის მეურნეობის საკითხებზე ველოდ მებონია აკეთებდა მოხსენებას, რელიგიაზე — ვანო კაკაჩია, საერთაშორისო ვითარებაზე — მამია კაკაჩია და ა.შ. კლუბი კედლის გაზეთებს უშვებდა, სადაც გაშუქებული იყო სოციალისტური შრომის გმირების მიერ მიღწეული წარმატებები, გამოფენილი იყო მარუსია გიგიბერიასა და ლეონტი (ჯაგა) კილაგას სურათები. კლუბის ერთი კუთხე დათმობილი ჰქონდა თბილისის „დინამოს“ და ქუთაისის „ტორპედოს“ საფეხბურთო გუნდების წარმატებათა ამსახველ ფოტომასალას, ასევე ლეგენდარული მოჭადრაკე ქალის ნონა გაფრინდაშვილის დიდ წარმატებებს...

ჩვენთან საუბარში ქალბატონმა ფუფულიმ საზვასმით აღნიშნა, რომ ობუჯის კლუბი ნალენჯიხის სხვა სოფლებთან შედარებით მონინავედ ითვლებოდა, ამიტომ რაიონულ პრესაში ხშირად ასახულია კლუბის წარმატებები. 1948 წელს ფუფული ფიფია ბიბლიოთეკარად გადაიყვანეს კლუბთან არსებულ ბიბლიოთეკაში, ხოლო 1954 წელს — ლეო ქია-

ჩვენი მილოცვა

60 წლის იუბილეს ვულოცავთ ჩვენს ძვირფას კოლეგას — ინეზა იპოლიტეს ასულ ფიფიას! ინეზა ფიფია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, სხვადასხვა დროს მუშაობდა ობუჯისა და ნალენჯიხის კოლმეურნეობებში მთავარ ეკონომისტად. მუშაობის პარალელურად დაუსწრებლად დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტი და შეთავსებით მუშაობა დაიწყო ობუჯის საშუალო სკოლაში, სადაც უცხო ენასა და საქართველოს ისტორიას ასწავლიდა. ამჟამად ქალბატონი ინეზა ობუჯის საჯარო სკოლაში დაწყებითი კლასის მასწავლებელია და ახალგაზრდული იერიითა და შემართებით იღვწის აღსაზრდელთა დასაფრთხილებლად. ეს, რა თქმა უნდა, მას დიდი სიხარულს ანიჭებს. პატარებსაც უყვართ თბილი და ყურადღებებიანი ინეზა მასწავლებელი და უხარიათ მასთან ყოფნა და მეცადინეობა. გულმხურვალედ ვულოცავთ ქალბატონ ინეზას იუბილეს და ვუსურვებთ მხნედ და ჯანმრთელად ყოფილიყოს დიდხანს ჩვენს კოლექტივში, ჩვენს გვერდით! არასოდეს მოგკლებოდეთ ღვთისგან ბოძებული ნიჭი და ენერგია თაობათა აღზრდის

უკეთილშობილეს საქმეში, ქალბატონი ინეზა! მალალი ღმერთი გფარავდეთ თქვენ და თქვენს ლამაზ ოჯახს!

გ. მებონიას სახელობის ობუჯის თემის №1 საჯარო სკოლის პედკოლექტივი.



ქალბატონი ინეზა ძმისშვილთან — ლელა ფიფიასთან ერთად

# ლექსები



**პოეტი ქალბატონი ლია ანთია ნალენჯისის შემოქმედებით ინტელიგენციის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია. იგი ორი პოეტური კრებულის ავტორია („უისრო საათი“ და „შესაძლებლის შეძლების შესაძლებლობა“). პოეტის ახალი ლექსები ჩვენს გაზეთში პირველად იბეჭდება.**

## მე მესმის უენო

რინოს კვარაცხელიას

მალე მიწყდება ყვავთა გნისი,  
შენც მიმგებელი ყველას მიაგებ:  
ჩქამი არ ისმის მელამისი:  
ხმა აღიმალე მეგანთიადე-  
სემუელ ჰანავიდი

არ აშენდება ასე ქვეყანა  
თუ დავივიწყებ წარსული ჩვენი.  
სულში გრივადი მძვინვარებს მაშინ:  
ო, მეგობარო მე მესმის შენი.  
ენას, მამულს და სარწმუნოებას  
თავს დასტრიალებ და უფროსილდები.  
არ წავივლილხარ ძვალშესალავი,  
ციხე-ტაძრები და მონასტრები.  
როკავს, ხარხარებს ხროვა ორგულთა:  
დამაქცევარი ერის და ქვეყნის,  
ვერ ეგუები ფარისევლობას,  
მეც ვგრძნობ, მეც მტკივა და მესმის შენი.  
წინ ქაოსია და უფსკრულია,  
კვამლის ღრუბლებმა შთანთქმეს ყოველი.  
დავიჩოქებ და ლოცვას აღვაგლეწ,  
ჩვენც გავიშვიროთ მზისაკენ ხელი.  
ჯანი მრთელი და შეუდრეკელი  
მინდა გიხილო მრავალი წელი  
და შენთან ერთად მინდა მჯეროდეს  
კვლავ გაიშლება, გაიფურჩქნება  
ქვეშაირიტების ნათელი თესლი.  
რაც მაიმედებს და მასულდგმულებს,  
რაც არ დალილია, არ დაშრეტილია,  
უზიდავს ჯვარცმა ერის და ქვეყნის.  
სიმართლისათვის რომ უბრძოლია,  
დამილოცნია კალამი შენი.

30.XII. 2009წ.

## გუმუს

სიმართლისკენ მიმავალი  
გზები როგორ გაგიმრუდეს,  
ვინ შებოჭავს, ვინ მოთოკავს  
რწმენას შენსას ურყევს, უდრეკს.  
არ გაშინებს ურჩხულთ ხროვა,  
ამ ბოზოქარ დრო-ჟამს უგებ,  
იმედებით შემოგყურებთ

შენ და ახალ საუკუნეს.  
ფრთხილადღეწილ ჩვენს ოცნებებს  
ამრთელეებ და ასულდგმულებ,  
საქართველოს სადიდებლად  
გზებს დავლოცავთ შენსას გუგე.

## გუშინ გაყიდას სოფლის მიწები

გუშინ გაყიდას სოფლის მიწები,  
ისევ აკუნესდა სევდის სიმები,  
გაზაფხულია, ყვავის მინდვრები,  
ატირებულან ლურჯი იები.  
ო, ფიქრო ჩემო, ვდუმვართ როდემდე,  
გადახნავს ველებს გადამთიელი,  
ველარ ირბევენ ცვრიან ბალახზე  
ქართველთ გენის და გვარის ბიჭები.  
ნუთუ არ გესმით ჩემი გოდება,  
ვერ გავჩუმდები, ვერ გავჩუმდები,  
უკურნებელი ტკივილით მტკივა  
ეს გაყიდული ჩვენი მიწები.

## ღაიბვიანეს მისიკაცებამ

ისევ განვიმდა სისხლის წვიმები,  
კვლავ ცრემლიანი დილა გათენდა,  
ო, რა დიდი ხნით დაიგვიანეს,  
დაიგვიანეს ერისკაცებმა.  
თითქოს ვარ ჩვილი, ბავშვი ობოლი,  
სული კვლავ უხმობს ყველას საშველად,  
ერთად ვილოცოთ, ერთად ვილოცოთ,  
ვიბრძოლოთ ერის გადასარჩენად.  
შევთხოვ დიდ უფალს, შევთხოვ განგებას,  
არ ჩავერეთ, ვენთოთ წმინდა სანთლებად,  
და სანამ რწმენას წავიბილნავენ  
ვიბრძოლოთ ქვეყნის გადასარჩენად.  
ისევ ღამდება, დარდი კვლავ მწენავს,  
დრო კვლავ იღვრება მწუხრის ჰანგებად,  
კვლავ ხმაურია, ნეტავ რა ხდება,  
ან ნეტავ რატომ დაიგვიანეს  
ასე დიდი ხნით ერისკაცებმა?

## გაზაფხულია

გაზაფხულია, ისევ აყვავდა  
ბაღში ვარდი და თეთრი გვირილა,  
ჩამოქაფული თეთრი ჩანჩქერი

ბარს მოსდებია ჟივილ-ხივილად.  
გაზაფხულია, ცვრიან ბალახზე  
დარბის გიორგი, ლუკა, ქრისტინა,  
სამშობლოვ ჩემო, მზის ათინათი  
შემოგვლებია თავზე გვირგვინად.  
გაზაფხულია, გაზაფხულია,  
სიომ მინდვრები შემოიბრინა,  
ნაზამთრალსა და შიშველ ყანებში  
ჯეჯილი მწვანედ ამობიბინდა,  
წარსულის ჯვარცმა, უღვთო დღეები  
დრომ ცხარე ცრემლით გამოიტირა,  
ჭრილობა თითქოს მოგვშუშებია,  
იმედის სხივმაც გამოიჭყიტა,  
როგორც ყოველთვის, ჩემს ქვეყანაში  
გაზაფხულია და ისევ ყვავის  
ბაღში ვარდი და თეთრი გვირილა.  
გაზაფხულია, გაზაფხულია.

## უფლის ნება აღესრულა

ქვესკნელსა და ზესკნელს შორის  
დედამინა გაჩხირულა  
და ორივეს გზის დასასრულს  
სიკვდილი ჰყავთ მოციქულად.  
ნუთისოფლის განაჩენით  
უფლის ნება აღესრულა —  
სხეული ქვესკნელს ჩაბარდა,  
სულმა ზეცას მიაშურა,  
დედამინას მრავლადა ჰყავს  
თაობები კვლავაც მდგომრად.

## მაკადისობას ღმერთთან მოველი

დრომ გადასწია ცხოვრების ფარდა  
და გააშთშულა ნუთისოფელი,  
ფიქრი წრიალებს წლებს ნიაღში,  
წარმავალია თურმე ყოველი.  
ო, დედამინავ, გაუშაძლარო,  
ჩემთვის ბნელი ხარ, შეუცნობელი,  
სიცოცხლე ჩემი წამიერია,  
მარადისობას ღმერთთან მოველი.

\*\*\*

ნუთისოფელი ბენვის ხილია,  
რომელიც ჯვარცმით გადამივლია,  
უსაშველოა ფიქრები ჩემი,  
ხილს გაღმა ნეტავ საით მიდიან?

\*\*\*

მიმოხეულან მწველი ფიქრები  
სამარადჟამო სასუფეველზე,  
ობლად შთენილი, სულ მარტოდმარტო  
ტირის სანთელი სიყვარულის  
საკურთხეველზე

## უნდა გავფრინდე

სანამ სიკვდილი შავი მკლავებით  
მოვა და ჯვარცმულ სხეულს წაიღებს,  
ო, დედამინავ, შენი კალთიდან  
უნდა ავფრინდე, უნდა ავფრინდე.  
მომხედე ღმერთო, მომეც ძალა და  
ზეცის კარები ცოდვილს გამიღე,  
შენ, დედამინავ, შენი გუგუნით  
როგორ მაფრთხობ და როგორ მაშინებ.  
არ მსურს ვიხილო შავი სამარე,  
ამ ნუთისოფლის ვერა გავიგე,  
და სანამ მოვა შავი სიკვდილი  
უნდა გავფრინდე, უნდა გავფრინდე.  
ყველა სიკეთე, რაც რამ მებადა  
დაუნანებლად ქვეყნად გავიღე,  
თეთრი ოცნების ჩამქრალი შუქი  
საღვთო სივრცეში თითქოს ამინთეს.  
დ აიმ შორეულ სილაჟვარდემი  
უნდა გავფრინდე, უნდა გავფრინდე.

## ფიქრი აუბი

დროს არც საწყისი აქვს, არც დასასრული,  
მარადისია, შეუცნობელი და სასწაული.  
წლები ურიცხვი დასამარდნენ მის  
სამსახურში,  
დინებას მისას ვერ მოთოკავ, ფეხი აუბი,  
რადგან მოასწრო ქვეყნად ცხოვრება,  
სანამ მოგისწრებს შენ აღსასრული.

\*\*\*

ვინ რას ნავილებთ იმქვეყნად  
როცა სიკვდილი მოგვიხმობს,  
მხოლოდ ერთი რამ გვახსოვდეს  
აქ რა დავტოვეთ ძმობილო.

## ღმრთის ნაყოფი

დღე დროის ძეა,  
ღამე — ასული,  
მყოფობა მათი  
ერთ დღე-ღამეში  
რჩება წარსულში.

## მე ვერ ვიცხოვრებ საკუთარ დროში

მე ვერ ვიცხოვრებ საკუთარ დროში,  
სადღაც წარსულში ვიხეტილავ,  
რა ვქნა, დრო სხვაა, მე კი სულ სხვა ვარ,  
სული შფოთავს და სული წრიალებს.  
ჩემი დრო თითქოს დაწყვეტილია,  
სულ ეკლიანი გზებით ვიარე,  
უფალო ჩემო, თუ ვერ ვპოვებდი  
მე საკუთარ თავს, საკუთარ ადგილს,  
რად დამასახლე დედამინავზე.  
დრო უნდა და წარმავალია,  
საკუთარ წამსაც აღარ იბრძლებს,  
წამს, წამის შემდეგ, პირმშოს თავისას  
წარსულს აბარებს, არც კი იდარდებს.  
მე ვერ ვიცხოვრებ საკუთარ დროში,  
ვინ მოიშუშებს ამდენ იარებს,  
უფალო ჩემო, გემუდარები,  
მეც მაპოვინე, რომ მყარად დავდგე  
ერთი მტკაველი ქართულ მინაზე.  
მე ვერ ვიცხოვრებ საკუთარ დროში,  
ლურჯი ოცნება საღვთო მიმადრენს,  
სხეული მრჩება დედამინავზე,  
სული კი ჩემი, ასე ჯვარცმული  
ამიერიდან უფალს მივანდე.  
მე ვერ ვიცხოვრებ საკუთარ დროში.

## აქ მატობა ასაფლავია

ქარსა და წვიმას პაემანი აქვთ,  
გადაუქროლეს საფლავს ხავსიანს,  
ცას ღრუბლის ფარად ჩამოახიეს,  
ნისლის ბურუსში საღვთო გარბიან.  
მზემ დაიმორცხვა, თითქოს განილდა,  
მთვარე გაოცდა და ფერმკრთალია,  
რამ გადარია წვიმა შხაპუნა,  
ან რას გაიგებ შლეგი ქარისას.  
„ქალო, ქაღალდი, დალაღანულო“  
ქვესკნელს ჩამესმა ტკბილი არია  
და გამახსენდა ამ ქვეყანაზე  
ვცხოვრობდი ვინმე ლია ანთია.  
გამოიღვიძა ძველმა ოცნებამ,  
მე პოეზია ამომაკითხავს,  
მომიგონებენ ჩემი ლექსები,  
დამილოცავენ მუზას მაღლიანს.  
აღარ დახვდებათ ქვაზე წარწერა,  
რადგან არავინ არ მბაბდია,  
მოდით, დამხედეთ, ცრემლად დამდნარი  
აქ მარტობა ასაფლავია.

## თენგიზ ძაძაძია

### ეს მე ვარ, შენი ახალი იარა

„წმინდა იგი, ვისაც ეღირსა  
მამულისათვის თავის დადება!“  
ილია

## სულის ანაბეჭდები

წარმოსადეგი იყო იგი თავისი კაცობით,  
ლაზაზი — თავისი ოჯახითა და ცხოვრე-  
ბით, მშვენიერი — თავისი მოღვაწეობით.  
როცა სკოლაში შედიოდა და კლასის კარს  
შეაღებდა, ის ძლიერ ჰგავდა მოძღვარს,  
რომელიც წმინდა სანთლებს ანთებს და  
საკუთარი ხატის წინ ლოცულობს.  
...და მაინც ღმერთი თავის ყველაზე საყ-  
ვარელ მონაფესაც კი გამოცდას უწყობს,  
ეკლის გვირგვინს, მძიმე ჯვარსა და გოლ-  
გოთას გზას თავაზობს.  
თენგიზისათვის ეკლის გვირგვინი, მძიმე  
ჯვარი და გოლგოთას გზა აფხაზეთის ომი  
იყო, რომელმაც აიძულა კალამი გაეგდო

ხელიდან და ავტომატი აეღო. აქაც ჩვეული  
შემართებითა და ერთგულებით ემსახურა  
იგი თავის ქვეყანას და თავის ხალხს და მა-  
მულის საკურთხეველზე ზვარაკად დადო  
საკუთარი ცხელი გული და თავისი სიცო-  
ცხლე.  
წავიდა ჩვენგან თენგიზ ძაძაძია და ჩვენ  
დავგრჩა მისი ნაფიქრალი და ნაოცნებარი  
სტრიქონები ისე სუფთა, ისე წმინდა და  
აღალმართალი, როგორც მისი ცხოვრება.  
თითქოსდა თენგიზმა წინასწარ განსაზღვ-  
რა და იწინასწარმეტყველა თავისივე გზის  
დასასრული და თავისი ლექსების კრებულს  
სევდიან პროლოგად წარუმიძღვარა:  
„სიკვდილი ჩვენთან არ მოდის,  
ჩვენ თვითონ მივალთ მასზედა.“  
თენგიზ ძაძაძია მამულისათვის ბრძო-  
ლაში დაეცა და წასვლას მისას წასვლა კი  
არა, — უკვდავება ჰქვია.  
ძვირფასო მკითხველო, ნაიკითხეთ და

შეიცანით სამშობლოსათვის დაცემული  
ვაჟკაცის ნაფიქრალი და ნაოცნებარი, —  
ეს მისი სულის ანაბეჭდია.

ჯანო ჯანელიძე

## ლექსები

\*\*\*

სადაც ყაყაჩოა ამოსული,  
იქ ჩვენი წინაპრის დაიქცა სისხლი,  
აღარ ვართ შორიდან ჩამოსული,  
და ეს ყველაფერი ვიცით.  
დედაო-სამშობლოვ, გვინდა კი ფიცი!  
ვართ ხარაჩოები, ვართ ყაყაჩოები  
რამე თუ ვიცით.

\*\*\*

ჩემო ალტაცებავ, ჩემო გატაცებავ,  
ჩემო სიხარულო, ჩემო სიყვარულო,  
ჩემო შემოფოთებავ, ჩემო გაოცებავ,  
ცეცხლო ჩემო მწველო, ჩემო  
ჟრუანტელო,

ფიქრო, ტკბილ-მწარეო,  
დედავ-საქართველო,  
შენ ხარ ყველაფერი, ჩემო სანატრელო!

\*\*\*

ეს მე ვარ, შენი ახალი იარა,  
ვერ სისხლით სავსე, დაცლილი კი არა,  
ვერ მიხვდე იქნებ, დროულად ვინა ვარ,  
რადგანაც მუდამ ჟამს, ოხვრა და  
გმინვა ვარ,  
ლოცვა ვარ, სისხლი ვარ ბრძოლებში  
დაღვრილი,  
სული ვარ, მტერთაგან უწყალოდ  
აღვცილი.  
ხელახლად მოსული, ხელახლად  
გაზრდილი.  
რწმენა ვარ, იმედი, მაქვს ჩემი თილისმა,  
ვარ შენი იარა, თუმც არ ვარ დაჭრილი.

## საქართველო

მე მიყვარხარ, კუთხევე ჩემო,  
ცა — ფირუზო, საქართველო,





გიორგი (გუგე) ცანავა

განყოფილების გამგედ, შემდგომ კი მთავარ ექიმად მუშაობდა. ნლების მერე გუგე ცანავამ თავის მშობლიურ ქვეყანას მოაშურა. მისი, როგორც მაღალკვალიფიციური ექიმის პირადი ადამიანური ღირსება უფრო თვალსაჩინო გახდა თანამემამულეთათვის მას შემდეგ, რაც მუშაობას შეუდგა ქუთაისის ჯანდაცვის სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილედ. ეს უკვე ის დროა, როცა ქვეყანა მოიცვა საშინელმა განუკითხაობამ. საქართველოს პირველი პრეზიდენტისა და ეროვნული ხელისუფლების კრიმინალურმა დაზოგვამ მყარი საფუძველი ჩაუყარა უმაგალითო ბოროტებისა და უსამართლობის აღზევებას ქვეყანაში.

გუგე ცანავამ კარგად უნყოდა,

ნები ჩაირიცხა ბათუმის უმაღლეს სასწავლებელში ყოველგვარი საფასურის გარეშე. აღსანიშნავია ისიც, რომ გუგე ცანავა ნლების მანძილზე არჩეული გახლდათ რაიონის საკრებულოს თავმჯდომარედ. იგი ეწეოდა უარესად ნაყოფიერ შრომით საქმიანობას. ამასთან, როგორც გამოცდილ ექიმს, კვირაში ერთი დღე გამოცხადებული ჰქონდა ავადმყოფთა მიღების დღე. აუცილებლობის შემთხვევაში ქირურგიულ ოპერაციასაც აკეთებდა... მასთან შეხვედრა, გულთბილი საუბარი სასონარკვეთილსაც კი სასოებას უბრუნებდა. უნუგემოს ანუგემებდა. გუგე ცანავა გახლდათ კოლხურ-ლაკადური ღირსების მატარებელი პიროვნება. იყო ნამდვილად რა-

რითაც ბოროტებას სიცოცხლეს უხანგრძლივებდნენ. იმჟამინდელი უჩვეულო მღელვარება ახლა უკვე თითქმის მინაღვრული, გუგე ცანავას უეცარმა გარდაცვალებამ რაღაცნაირად გააცოცხლა და ერთხელ კიდევ შეახსენა თავი ნაღვრული მკვლელობის იმედი, პოლიციელებისა და ნაგავების გამოყენებით რომ აშინებდნენ მის მხარდამჭერებს. მოაგონა განსაკუთრებით ობუჯელი ამომრჩევლების შეძახილი: „გუგე!“ „სიმართლე!“ იმდროინდელი არჩევნების გაუგონარი გაყალბების მომენტებს კარგად გამოხატავს ექსპრომტად დაწერილი ლექსი სათაურით — „დასცხე გუგე!“ რომელიც ახლაც ზეპირად იციან ზოგიერთებმა.

გუგე ცანავას მოულოდნელმა

ყენებული იქნებოდა ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ მისი მაღალნიჭიერება, ინტელექტი, დიდი ცოდნა-გამოცდილება. ჩვენში კი სახელმწიფოს დაშლის პროცესი უფრო მიმდინარეობს, ვიდრე მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ეკონომიკურად განვითარებისა, რაც სხვა მრავალთან ერთად მასაც სულს უფორიაქებდა.

გუგე ცანავას ბოროტების ნი-

# სსოვნა სანთლად ანთებულ ლაკადური ღირსების უებრო ვაჟკაცი

ჩვენი კუთხის სასიქადლო პიროვნების, შესანიშნავი კოლხი ვაჟკაცის გუგე ცანავას თვითმყოფად ცხოვრებაზე და მოღვაწეობაზე, მის უცაბედად გარდაცვალებაზე როცა ვფიქრობ, მახსენდება დიდი ილიას უკვდავი გამონათქვამი: „კარგია გაღვიძებული ადამიანი!.. მაგრამ უფრო უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არ სძინავს, ქვეყნის უბედურებით გულაღტიკნებულსა.“ ილიასეული ეს სიბრძნე უცილობლად ესადაგება გუგე ცანავას საოცრად მოუსვენარ ცხოვრების ნირსა და შეუპოვარ ბრძოლას. მისეული ცხოვრების წესი გახლდათ ასეთი: ცოცხლობდე — ნიშნავს იბრძოდე; იბრძოდე — ნიშნავს ცოცხლობდე.

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ერთადერთხელ ქართველი ხალხის ერთსულოვნად არჩეული პრეზიდენტისა და ეროვნული ხელისუფლების ვერაგულად დაზოგვა, როგორც მოსალოდნელი იყო, საბედისწერო გამოდგა ქართველი ერისათვის, მისი შედეგები კი დიხაზც დამანგრეველი, — დაკარგული ძირძველი ქართული ტერიტორიებით, ქართველთა არნახული მსხვერპლითა და უბედურებით.

ასეთი საშინელი ბედუკუღმართობა გახდა საფუძველი იმისა, რომ გუგე ცანავა სხვა მრავალთან ერთად დაპირისპირებოდა სამშობლოს დამამხობელ ბანდიტურ ძალებს, რომლებიც სისხლის დაქვევით მოვიდნენ ხელისუფლებაში.

როცა უსამართლობას პირისპირ შეპყურებ თავლებში და არ ჩაერთვები მის სანინაღმდეგოდ, თავისთავად ნიშნავს იგივე მონაწილე ხარ ამ უსამართლობის. ამგვარი რწმენით იგი პროტესტის ნიშნად ტოლებს ზემოაღნიშნულ თანამდებობას და აბუნად აგდებული ხალხის გვერდით მყარად დგება, მათი ჭირ-ვარამის გულისგულამდე გამოზიარებული.

დაუვიწყარია ნაღვრული ხელებისათვის გუგე ცანავას სრულიად ორიგინალური ცხოვრებისა და ბრძოლის ჰეროიკა. 1995 წლიდან იგი მონაწილეობას იღებდა ნაღვრული ჩატარებულ ყველა მაჟორიტარულ არჩევნებში, მაგრამ არ დალოდებია პარლამენტში შესვლას, საოცარი იყო გუგეს ენთუზიაზმი, მთელი ამ წლების მანძილზე მას არ მოუსვენია. ბევრი რამ გააკეთა ნაღვრული სასარგებლოდ. ყველაზე უმძიმეს პერიოდში, როცა რაისაავადმყოფოს ერთი სასწრაფო დახმარების მანქანაც არ მოეპოვებოდა, რაიონის მშრომელთა სამსახურში ჩააყენა სრულიად ახალი კეთილმოწყობილი სასწრაფო დახმარების მანქანა. გუგე ცანავას ძალისხმევით რაიონში ბოროტების ნინაღმდეგ ბრძოლის სიმბოლოდ აღიმართა სამეგრელოს გლეხთა აჯანყების მეთაურის უტუ მიქავას ძეგლი. ასევე დაიდგა სამეგრელოს უდიდესი მთავრის ლევან III დადიანის ბიუსტი. მისივე უშუალო ინიციატივით ნაღვრული ცენტრში გაიხსნა სულმნათი ზვიად გამსახურდიას სახელობის ქუჩა. ამასთან გუგე ცანავას ხელშეწყობით რაიონიდან ათობით ჭაბუკები და გოგონ-

ინდული სულისა და შემართების ვაჟკაცი, ამიტომაც ყველას როდი მოსდოდა თვალში. რადგან რაინდული ცხოვრება და ქმედება თითქმის მიუღებელია სულგაციულ და მონურად ქედმოხრილი კაცუნებისათვის. ზოგ-ზოგიერთებს კი შური ამოძრავებდათ, „შური-მწუხარება სხვისა კეთილსა ზედა.“

გუგე ცანავას ვაჟკაცობა იმაშიც ჩანს, რომ იგი მტკიცეულად განიცდიდა შეცდომას, რაც დაუშვა მან სააკაშვილის თანადგომით, იმ ყბადღებულ ნაღვრული ავტობუსის გამო, მაგრამ პარლამენტში შესულმა როგორც კი შეამჩნია ხელისუფლების ანტიეროვნული კურსი, ჭეშმარიტი ოპოზიციამი გადავიდა, და მას შემდეგ თავის სიცოცხლს უკანასკნელ დღემდე არ შეუნყვეტია ბრძოლა. პარლამენტის სხდომებზე კი ყველას ახსოვს მისი ცეცხლოვანი გამოსვლები, ამომრჩეველთა ნებისა და ინტერესების გამომხატველი.

ამასთან მოხდა საოცარი რამ, ისე, როგორც სიცოცხლეში, ხშირად უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა პოლიტიკურ მეტოქეს, მსგავსი რამე მისი გარდაცვალების მერმეც განმეორდა. ზოგს ეყო კაცობა და ჭირსუფლისაგან დატირების ნება ითხოვა. ზოგიერთი ფეხბურთელი და დარცხვენით მივიდა დასატირებლად და მერე აქაურობას განერიდა... ეტყობა, ზოგ-ზოგს თავისი ადრინდელი საწოთირო ნამოქმედარი ახლა უფრო ანუხებდა. რა განეცხობა, ესეც ხომ ადამიანური სინანულია, მაგრამ უკვე დაგვიანებული...

ინფარქტგადატანილი კაცის ჯანმრთელობას ალბათ თავისი დალი დაასვა 26 მაისის ღამემ, ბართლომეს ღამედ ნოდებულმა. სამშობლო ქვეყნის ჭირ-ვარამით იმდენად გახლდათ გულშეძრული, რომ თავის თანაპარტიელ უშიშარ ვაჟკაცებთან ერთად არ შეეძლო რომ არ დასწრებოდა იმ აქციას. ხელშეკრული 57 წლის გუგე ცანავა უმონყალოდ უცემით ჯერ რუსთაველის კინოთეატრის დარბაზში, შემდეგ კი ქალაქის მთავარ სამმართველოში. ამის გამო თავისი უფროსი ძმისთვის გიულისთვის უთქვამს: შენ ვერ გაუძლებდი იმეთ სისასტიკეს. ერთხელ კიდევ დავრწმუნდი იმაში, რომ ლაჩრები ამავე დროს როგორი სასტიკნიც ყოფილანო.

უნდა ვებრძოლოთ ამ დღენაკულ ხელისუფლებას გაასამგებელი ენერგიით.“ იქვე აგრძელებს: „ბევრმა დღესაც ვერ იგრძნო, რომ სამშობლოს იქით მართლაც არაფერია და როცა სამშობლოს გვერდით ვდგავართ, გვემცრებენ, გვამცირებენ, სულში გვაფურთხებენ, სახლში იკეტებიან... მაგრამ მე იმედი მაქვს იმ ხალხის, ვინც 26 მაისს იქ იდგა... იცოდეთ, ბატონო სააკაშვილო, ჩვენ არ გვეშინია! საქართველოში საკმარისად დარჩა უშიშარი ხალხი, რომელიც სიცოცხლის ბოლო ნუთამდე იბრძოლებს ამ ქართველმოდულ ხელისუფლების ნინაღმდეგ!“ თქვა და აღასრულა კიდევაც. ეს კი მხოლოდ დიდ პატივობებს, ქედურელ ვაჟკაცებს ძალუძო.

გუგე გახლდათ შეუდარებელი სტუმართმოყვარე. ლხინში სწორეპოვარი მომღებნი, ჭირში მყოფთა ნუგეშისმცემელი და გამამხნეველები. საჭიროების ჟამს მუშტი-კრივიმაც შეუდრეკელი. მამა-პაპათა ადათ-წესების ბოლომდე მიმდევარი და დამცველი, ხელოვნების, ლიტერატურის, პოეზიის ძალუმად მოტრფილვე.

ნაირგვარი ხეხილით, ვაზითა და ვარდ-ყვავილებით მოქარგულ-დამშვენებული მისი ეზო-კარისთვის ვისაც შეუხედავს, დიხაზც დარწმუნდებოდა, რომ აქ ესთეტიკურად მაღალი და ნატოფი გემოვნის ადამიანები ცხოვრობენ. ყველაფერი ამის შემოქმედი ძირითადად მაინც ოჯახის უფროსი გახლდათ.



ეს ჩემი სამშობლოა!

9

სიმბოლოურია, რომ პოლიტიკურ პარტიაში „თავისუფალი საქართველო“ გუგეს ადგილს იკავებს მისი უფროსი ძმა გიული ცანავა, რომელიც ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი იმდენად დაახლოებული იყო ზვიად გამსახურდიასთან, რომ მან თავისი დიდი მამა-პაპის მშობლიური რაიონის აბაშის თავ-კაცობა ანდო.

აქვე მინდა წაღწევის შემოქმედებითი ინტელიგენციის სახელით დიდი მადლობა მოვასხურო გაზეთ „ასავალ-დასავალს“ ცნობილ ჟურნალისტ ბატონ ჯაბა ხუბუას და პოლიტიკოს ბატონ კახა კუკავას ზემოხსენებულ გაზეთში გუგე ცანავას ცხოვრებისა და დიდი ღვაწლის დიახაც დამსახურებულად წარმოჩენისათვის.

ამასთან ისიც უნდა აღვნიშნო: ვერ დავეთანხმებით ბატონ კახა კუკავას იმას, რომ ზვიად გამსახურდიას დამხობის შემდეგ გუგე ცანავა წაღწევისათვის, ფაქტობრივად მარტომარტო ებრძოდა შევარდნაძის რეჟიმს. ეს ასე არ არის. გუგე მარტო არასოდეს ყოფილა, ის მუდამ ხალხთან ერთად იბრძოდა, ხოლო 1992-93 წლებში კი მთელი სამეგრელო და მათ შორის წაღწევის რაიონი აშკარად დაპირისპირებული გახლდათ უზურაბატორ შევარდნაძის ბანდიტურ რეჟიმთან. უფრო მართებული იქნება ვთქვათ, რომ გუგე ცანავამ დიახაც გაორკეცებული შემართება შემატა კანონიერების აღდგენისათვის პატრიოტთა შეუპოვარ ბრძოლას.

დასასრულს ისევ ილიასეული

უკვდავი ლექსი უნდა მოვიხმო: „არ არის მკვდარი, ვინც მოკვდეს და ხალხს შესწიროს დღენია, — მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ სახელი არ დარჩენია.“

გუგე ცანავას და მისმაგვარ ვაჟ-კაცთა სახელი მარად უკვდავია.

**რინოს კვარაცხელია**

**ზნეობრივი რაიონი გაზეთიდან — „ასავალ დასავალი:“**

„დიდ ქართველს გუგე ცანავას გული გაუსკდა.“

გული გულიანს უსკდება და არა უგულოს, — გული ვერ უძლებს, იმდენია ჩვენში ურჯულო... ვინც ქართველობას ვერაგულად გაავლო მუსრი, — ღვთიურ ქვეყანას უღმერთოდ რომ სამარეს უთხრის. სწორედ ამნაირ არაკაცებს მართებთ ოტება, — მამულს მტრობენ და თავი მოაქვთ პატრიოტებად. გუგე სულ მუდამ ხალხში იდგა, ვით მესამრდი, — უზნეო ჟამის ზნეობრივი გახლდათ რაინდი. ქართველთა შორის ვერ გუობდა ყურმოჭრილ მონებს, — თვით საქართველოს ღალატისთვის ჯილდოთა მქონეთ. სიმართლისათვის შემართება ჰქონდა რამხელა, — ცრუს და ორგულეს გულუშიშრად მუდამ ამხელდა. ოდაბადესთვის ბრძოლა სწადა, მისადმი ერთგულს, —

ბრძოლაც შევნიდა ლაკადური ღირსებით შემკულს. ეომებოდა სულგაყიდულ ჯგროთა „გონებას,“ — ვინცა მტრობს მინყივ ენას, მამულს, სარწმუნობას. მტრებთან ბრძოლაში რწმენა ძლევის შუბივით ეპყრა, — ო... ამ ბრძოლაში შევნიდა სამშობლოს მსხვერპლად. ჰქონდა მიზანი სხივანთელი, მართლაც კამკაშა, — სიცოცხლისათვის თვით სიკვდილსაც შეეთამამა... ძილშიც ესმოდა ოდაბადეს კენესა-გოდება, ნუხდა მრავალს რომ დაჰკარგოდა გრძობა სირცხვილის, — მონებს მონური აღსასრული უახლოვდებოთ, ხოლო რაინდებს რაინდული შვენიით სიკვდილიც.

**რინოს კვარაცხელია. 2011 წელი**

**დაცემა**

ყველა როდია ვაჟკაცური სინდისის მქონე, მაგრამ დაცემა ასეთი არ გამოგონია, — თურმე დღევანდელ საველელოდ ყურმოჭრილ მონებს ნება კაი ყმის დატირების არც კი ჰქონიათ...

**რინოს კვარაცხელია**

**გეგმობრივი, გუგე**

რაც ავკაცებმა ჩემი ფიქრი უწყალოდ ბუგეს, ჩანს, მიშუშდება, რადგან მეიმედები, გუგე.

შეგჭიდებვიარ ბევრჯერ ქვეყნის ავაზაკს, ურგებს; არ დავცემულვარ, მაინც ლამაზო ბიჭო, გუგე. გაყვილია ერი, დგას ცრემლის მლაშე გუბე, ავობს შიმშილის ტალღა, ჰეი, დასჭექე, გუგე! რაც გვექონდა, გაიზიდა, დავრჩით დაბერტიკლ უბედ; დავცხოთ ყიჟინა, ვიდრე მთლად გაგვაქრობენ, გუგე. ვინც აშიმშილა ხალხი, — სიკვდილის მახეს უგებს; შენი იმედით ვსუნთქავ, მჭექარე ბიჭო, გუგე. მე შენში ვხედავ უბრძენს რაინდს — მამულის ნუგეშს; ჩოლოყაშვილის დიდ გზას უნდა გავუყვეთ, გუგე. დროა, დაედგას თავი ასაშენებელ — უგებს; ფიცხელი ბრძოლა გველის, აბა, შენ იცი, გუგე. ვინც ხალხს აღმერთებს, იმას ხალხი ენდობა, უგებს; შენს ქველკაცობას, ვაშა, გეამბოვები, გუგე!

**მელენტი ფიფია 1999 წ.**

**დაცემა გუგე! (ექსპრომტად გიორგი ცანავას)**

გინდაც ხუთი, გინდაც ათი, სამოციც რომ წინ დაუდგეს, გუგე მაინც ყველას უგებს, რადგან გუგეს ხალხი უგებს და თვით ხალხსაც უგებს გუგე... რა ხანია ეშმა ღრეობს, ღორი ღორობს, მგელი მგელობს, ვირი ვირობს, გველი გველობს, —

ყველა ებრძვის საქართველოს... ყველა ორგულს, ყრუს და ურგებს, — შენებურად დასცხე გუგე! რა ბევრია ცოცხლად ლეში ამ ჩვენს კუთხე-სავარდენში, ხალხისათვის ღამე-ბნელში — თავს რომ გრძობენ სამოთხეში. უღვთოდ გებრძვის ძალა ბნელი, — მყვლეფელი და გამგებელი, მრუდი, მრუში, საძულველი, მიკვირს რამდენს გაუძელი. ქებათქება ოზუჯელებს, რომ უყელეს ყალბისმქმნელებს, აღარ მისცეს ნება გველებს, — გაემარჯვა ბინძურ ხელებს... ვინც გზას იკვლევს ბაქიბუქით, მან უნოდა ასლანს თურქი, არის ბეზლი და ურჯუკი, სურთ იმედის ჩაქრეს შუქი. გაარღვიე ბნელი ზღუდე, მტერს ხალხისას დასცხე გუგე! უზნეობის ებრძვი ჭაობს, მოლალატე ერთგულს ჭარობს, ხალხმა იცის, ვის რას ანდობს, სიმართლე სწამს სულის საზრდოდ. ყველა ცბიერს, სულთ მრუდეს, — არ დაინდო, დასცხე გუგე! ხალხმა იცის, იცის ყველამ, — შენ არ მიხვალ სალხინებლად, თბილი სკამის საძებნელად, მიხვალ მხოლოდ საბრძოლველად. თავანყვეთით მიქრის რაში, არ იკარებს აღვირს უკვე, დაე, საქართველოს ხსნაში ლომის წილი გქონდეს გუგე!

**ო. ლაკადელი. 1999 წ.**

**8**

მიყვარს თეთრი მყინვარი და ველნი შენი სანაქებო. მიყვარს შენი მოღუდუნე მტკვარი, არაგვი, რიონი... შეილნი შენი... შოთა, საბა, ტატო და გალაკტიონი... მიყვარს შენი ქართველის დედა, მისი ნანა ქართული, დედა! მზრდელი არწივების, რომ დაიცვან მამული. მიყვარს შენი ტკბილი ენა, ტკბილი, დედის რძესავით, ხან ხმალივით მოქნილი და ხან კი მწველი მზესავით.

**უფიქრობის სურათი**

ხეებს სცვივით ფოთლები და სამოსი ეცლებათ, აპრილამდე, ძვირფასო, მათთვის არვის ეცლება. ჩემი გულიც ეგრეა, დარჩა იგი შიშველი და შენს გარდა, ლამაზო, მე ვერაფერი მიშველის. შემოდგომა თავდება, დავალ ასე ეული, ვდგავარ, როგორც ბერმუხა, ტოტებშემომტვრეული. საოცრების ჩამდენი ქვეყნად მხოლოდ შენა ხარ. შენ ხარ ჩემი ხატება, ჩემი აღმაფრენა ხარ. აპრილამდე მინამლე, ოდნავად თუ გებრალვი, თორემ დამფერფლავს, დამაჭკნობს მე შენი ტრფობის ალი.

**როდესაც ძლიერ დამწყდება**

აბლობლებს ჩემსას, გავისხენებ და იმედის ძაფებს ხელახლა ვაბამ. ერთი შეხედვით ვარ მხიარული, არ ვურიგდები დაცემას რადგან.

**ერთი წუთით, რომ ჯადოქარი**

იცი ვიზამდი რას? ადამიანებს ბოროტებას და გავატანდი ქარს!

**ნანას**

თუ ვართ ვაჟკაცები და არ გვზურავს მანდილი, რად არის ჩვენს გვერდით ბოროტი და თახსირი. გაჩუმდი, თუ ძმა ხარ, თავს ნუ იმართლებ, ყელში ამოვიდა, ეგ შენი სიმართლე! კაცი თუ თაღლითობს, თუ ხარობს თახსირი, მხოლოდ იმტომ, რომ გვზურავს მანდილი.

**გული კეთილი, სალი გონება,**

ჩირად არა ღირს სხვა რამ ქონება.

**მომავალ ქატიველ დედებს**

ქართველო ლამაზო, გთხოვთ, რომ ყური დამიგლოთ, არ იფიქროთ, ვფიქრობდე, ყურთასმენა დაგიტკობთ. მინდა გკადროთ მცირედი სიტყვა მართალ-ნათელი, გვმტრობდა აღმოსავლეთი, არ გაემხდარვართ თათარი! ვერვინ შესძლო ქართველთა გაზრნა, გადაგვარება, წინაპართა გმირობა ხალათს ვერ იმალება. ქართველ ქალებს მეტწილად ტანს ძაძა უფარავდა და კერიის სიმტკიცეს სიყვარული ფარავდა. მასპინძლობაც შეგვეძლო, ნციფრდებოდა სტუმარი, იცი, ახლაც აქებენ ბევრგან ქართულ პურ-მარილს, გვქონდა რკინის გული და აბჯარს არც კი ვხმარობდით, სამშობლოსთვის სიკვდილი! ჩვენ ამ ფიქრით ვხარობდით. ქართველის დედა რომ არა, დედა მირონცხებულის, მგონი, არც იქნებოდა საქართველო, ქებული. ქალიშვილო, ლამაზო, დე, გამიგე ძვირფასო, შენგან ქართველის დედობას და დიდებას მოველი.

**ნანას**

მთელი ღამე გავათენე ქალაქად, შენ კი ძილში იყავ ჩემო ნანა, მაპატიე თუ არა ხარ თანახმა, ჩემთვის დღეს ეს პატიებაც კმარა. და მე ნავალ, ნავალ სულ სხვა მხარეში. აქ სიყვარულს არ ჰქონია ფასი. შენ კი დარჩი აქ სიცოცხლის და იცოცხლე კიდევ წელი ასი. მაგრამ თუკი დაგჭირდები ოდესმე ჩემს სახელთან რამეს მოიგონებ, მკვდარი ვიყო, მოვალ და კვლავ მოგვედები, ოღონდ შენთვის რაიმეს ვიღონებ. პოეტები ლექსებშიც კი ტყუიან, ეს სიცრუე იქნებ დაიჯერო, მე სიკვდილის აღარ მეშინია, ოღონდ შენთვის მოგვედე, მშვენიერო!

**ვიცი, ძნელია სიკვდილი,**

სტოვებ ქვეყანას, მადლიანს, მაგრამ სამშობლოს გულისთვის ძმაო, სიკვდილიც მადლია.

**მთელი ძალა ქალის,**

მთელი სიბრძნე ქალის, დედობაში არის.

**ვიცი ეშმა ხარ**

და სინდისს ჰყიდი, მე რაღას მერჩი, მეც რაღა მყიდი, თუმცა ვინა სთქვა ეშმა და რიდი.

**ბიჭებო, აფეთქადა აისი,**

ბიჭებო, ახალი მაისით, არიქა, ბიჭებო გაინით, სულ წინ, წინ ბიჭებო, ხალისით! ვახაროთ იმედი ხვალისი!

**დაგენაცვლები.**

ყველაფერი ლამაზია სანამ მიუწვდომელია. ამიტომაც ეს ცხოვრება ჩვენთვის წუთისოფელია.

**აფხაზეთი**

რა მიმზიდველია და რა მშვენიერი, კალმით ნახატია, რაც რომ აქ ხატია ხეთა რხევა ნელი გრძნება მიმზიდველი. გახლავთ დღევანდელი, ან გარდასულ დღეთა მოგონება მწველი. ზღვის ამაყი ტალღა, ვით ქორთა ბიჭი, დახტის აღმა-დაღმა, სურს რომ დაამჩნიოს ზღვას თავისი დამლა. ჩიტუნების სტვენა, გულს რომ ეფინება სმენად თუ იქცევი, ლოცვა გეგონება, ამომავალ მზისა, ლაყვარდოვან ცისა და დედამინისა ხოტბა მომავლისა. რაც რომ აქ ხატია, დღეა ბედნიერი, კალმით ნახატია მართლაც მშვენიერი, ან კიდევ ხატია ხატი ხელთუქმნელი.

**თუკი ბრიყვია ხელისუფალი,**

მომავალია — ჭირისუფალი!

**გენიალური გენი, შოთავ! —**

ლექსია თქვენი!

**ლექსის სიმცირეს ნუ**

დაინუნებ, აზრის სიმცირე მუდამ ამხილე, თუ მე შევცოდე, არ დამიმალო, დამეხმარები, თუ კი მამხილე.

**ადამიანი აქლემზე ნაკლები**

კუზინია? თავისი უგუნურობით, რამდენი უზინია!

**სიკეთისათვის იბრძოლე**


მუდამ, კეთილ საქმეებს, თხოვნა რად უნდა!

**გვარიშვილობა გადაგვექცა**

ფულისშვილობად გვარმა გათელა, ახლა ფული თელავს ზრდილობას.

**არ გეგონოთ უღმერთო, მეც**

მყავს ჩემი ღმერთი, ცოტნე დადიანი, გმირი ერთადერთი!!!



**თენგიზ ძაძამია დაიბადა 1960 წელს ქ. სოხუმში. 1977 წელს დაამთავრა ქ. სოხუმის №1 საშუალო სკოლა, 1988 წელს კი აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. აფხაზეთში ომის დაწყების პირველი დღიდან, იგი სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. იყო 23-ე ბრიგადის მე-8 ბატალიონის I-ცუგუროვკის ასეულის ოცმეთაური. დაიღუპა 1993 წლის 9 ივლისს. დარჩა მეუღლე და სამი შვილი.**

# გაპუფრობილდათ დადაბუნებას

## პრობლემა განსჯისათვის

### ჭანისწყალი

ნალენჯიხის ჩრდილოეთით, ოცი კილომეტრის მანძილზე იქ, სადაც ერთმანეთს შეჰყურებენ ცხრა წყაროს და ყვირას ბუმბერაზი მთები იქ, სადაც ჭიდას ულამაზესი ბორცვები და ხეები ჰარმონიულად შერწყმიან ერთმანეთს, უმშვენიერესი ბუნების ნიალიდან მორიდებულად მოედინება პატარა, მაგრამ ბოლოვით სუფთა, ანკარა მდინარე ჭანისწყალი. ჭანისწყალი, ჩვენი სიმდიდრეა, ჩვენი სიამაყეა. ბავშვობის მეგობარი და სიყვარული. დიახ, სწორედ ასეთი პატარა მოედინება ის კურორტ სქურის ჩრდილოეთის ულამაზესი ხეობიდან და გეზს შავი ზღვის აუზისკენ იღებს. გზა მოქმადი, ფათერაკებითა და წინააღმდეგობებით სავსე, მაგრამ ბუნების ულამაზესი სიმშვენიერით მოჩუქურთმებულ ნიალი. მიდის პატარა ჭანისწყალი ხან მარჯვნივ, ხან კიდე მარცხნიდან შემოუვლის მის წინ აღმართულ ვეებერთელა ლოდებს თითქოს თავს ევლებო, გაუვალ კლდეებში გასავლელის ძებნაში ათენ და ალამებს და ბუტბუტით, დაჟინებით მიიწევს წინ, ხან აჩქარდება, ხან წყალმარხად იქცევა, ხან კიდე შალი კლდიდან მოშორილ დგაფუნით დაეშვება მდობრე წყალზე. ვეებერთელა ქაფებს დაიყენებს სუფთა მოკამკამე ტანზე, ადგილზე წისქვილის ქვასავით დატრიალდება, საპნისებრ ქაფებს დაუსხლტდება და გზას ისევ დაღმართისკენ დაუყვება, თვალის მომჭრელია მისი ანკარად მოლივლივე ტალღები, ხოლო მისი ტოტების ჩხრიალი და რაკრაკი განუმეორებელ მუსიკის ჰანგებად იღვრება ულამაზესი ბუნების სივრცეში. მართლაც მდიდარია ჭანისწყალის ხეობა და მისი ნაპირები. ისინი მჭიდროდ შეერწყმიან ერთმანეთს და ჰარმონიაში ერთ ხსენულად მოგვევლინება. მის ორივე ნაპირს ფხიზლად დარაჯობენ ჩვენი ტყის სიამაყე საუკუნოვანი ნაბლები თუ ნიფლები. ნეკერჩხლები თუ ძელქვები, მაგრამ მის

ნაპირებს განსაკუთრებულ სილამაზეს მატებს ბზის კორომები, იქვეა ბუჩქოვანი შქერები და უამრავი სხვა სილამაზის მქონე მცენარეები, რომლებსაც უერთმანეთოდ განვითარება ვერ წარმოუდგენიათ, ამიტომ არის ის, რომ ზამთარში ხეები შიშვლდებიან და მზის მაცოცხლებელ სხივებს ატარებენ მდინარის შუაგულისკენ, რათა გაყინულ დედამდინარეს გული გაუთბონ, ხოლო გაზაფხულზე მწვანით შეიმოსებიან და ზაფხულის დამთრგუნველი სიციხის შესაკავებლად ჩრდილად მოეფინებიან, რათა ჭარბი სიციხისგან დაიცვან ჭანისწყალი. ხოლო ჭანისწყალი, თავის მხრივ, მაცოცხლებელ ელექსირად გვევლინება და მის გარშემო აქორჩილ მრავალსაუკუნოვან თუ ახალგაზრდა კორუმებს ფესვებიდან მზრუნველ დედასავით აწოვებს მისი მკერდიდან გადმოხეთქილ ანკარა წყაროს. მიდის ჩვენი პატარა მდინარე თავისი მრავალსაუკუნოვანი გაკვალული გზით, მიდის შეუსვენებლად დღედაღამ. ის ერთი ნუთით არ ისვენებს, არ ჩერდება. ღლინ-ჩხრიალით. მიუყვება დაღმართებს, მოეფერება ლოდებს, კლდეებს, დაანყურებს მწყურვალე ნადირფრინველთ, ღამით კი შეხედავს მონმნდილ მთვარის ნათებას, ვარსკვლავთცვენას, დედამინის ხელოვნური თანამგზავრის გადაადგილებას და მშვიდად აგრძელებს გზას შავი ზღვისაკენ.

ჭანისწყალი დინების შუაწელს რომ მიაღწევს, ხეებიდან ანკარა წყაროების შერთების ხარჯზე, უფრო გონიერი, უფრო წყალუხვი, უფრო ძლიერი და მიმზიდველი ხდება. სწორედ აქ იძენს ჩვენი მდინარე მეორე და განუმეორებელ სიცოცხლეს. სწორედ აქ ეშვება ის ფიტალო კლდიდან რამდენიმე მეტრის სიმალიდან, თეთრი ზენარით დაეკიდება ციცაბო კლდეზე და დგაფუნით აეშვება თეთრ ქაფებში, სადაც დედამდინარე თავის მონატრებულ შვილებს გულში, ყველას სათითაოდ გადააკოცნის,

მოეფერება, გულს გადაუშლის, ანკარა წყაროს მოლივლივე ნაპირზე გამოიყვანს სასეირნოდ, ცოტას შეისვენებენ, ბუნებას შეხედავენ, უცხად მოწყდებიან დედის მკერდს, მზის სხივებზე ბზინვარე ტალღებზე გაინავრდებიან და ისევ დედას ჩაეხუტებიან და მისი მაცოცხლებელი დიდახანს, სანამ ბუნების მშვენიერებამ სიჩუმე არ დაარღვია. საქმე იმაში გახლავთ, რომ ჭანისწყალის პირას ამჟამად მდგარმა მრავალსაუკუნოვანმა ბებერმა ნიფელმა იხილა დედა-შვილების მაცოცხლებელი შეხვედრა და მთელ ხეივანს ამცნო ნანახი მშვენიერება. დიახ, აქამდე თუ ლამაზი და მიმზიდველი იყო ჩვენი დედამდინარე, შვილებთან შეხვედრის შემდეგ ის მშვენიერი გახდა, რადგან სილამაზე ხედვაშია, ხოლო მშვენიერება შინაარსში. დედა-შვილები კი ამ შეხვედრამ სამუდამოდ ერთად დატოვა და მისცა საშუალება ერთად გაეგრძელებინათ ფათერაკებითა და მოულოდნელობებით სავსე გზა შავი ზღვისაკენ. ასე მიიწევდა მიზნისკენ ჩვენი სიამაყე, დედამდინარე წინ და რაც უფრო მიდიოდა, მით უფრო მეტი შვილები ხვდებოდა და გული სიამაყით ევსებოდა, ყველას ადგილზე ტოვებდა, ყველას ემშვიდობებოდა, ხოლო თვითონ დასასრულისკენ აგრძელებდა გზას, რადგან დედამდინარემაც შესანიშნავად იცოდა ცხოვრების კანონი უფროს-უმცროსობის შესახებ. მიდიოდა ჩვეული სიძინჯით, ჩაბუტბუტებდა რალაცას, ვეებერთელა ლოდებს შორის ჩვეული ოსტატობით გაძვრებოდა. კლდის ძირში ციბრუტივით დატრიალდებოდა, მშვენიერ ბუნებას თვალს გააყოლებდა და უზომოდ ნასიამოვნები ბუნების სილამაზით სამხრეთისაკენ მიემართებოდა. შემოაღამდებოდა, ხეობა ღამის წყვილადმი ჩაეფლობოდა. სიბნელება დედამდინარის სმაურს ტურების კვილი, მგლების ყმული თუ საშოვარზე ხეზე ამძვრალი დათვის ღრიალი და მის მიერვე დამტვრეული

ტოტების ლანალუნის ისმოდა, ხოლო დედამდინარე, კუნაპეტ სიბნელებაში მისივე ბზინვარებით განათებულ კალაპოტში საკუთარი სიმღერების ჰანგებზე ჯიუტად მიიწევდა კოლხეთის დაბლობისაკენ. წვევარამ სიბნელებაში დალლას რომ იგრძნობდა საშველად მთების წვერებიდან ამოსული მთვარე მთელ ხეობას გაუნათებდა და კიდეც ერთხელ დაარწმუნებდა, რომ ის სწორედ მიზნის მიმართულებით მიდიოდა. თავის მხრივ ჭანისწყალი თავის მეგობარს საკუთარ მოკამკამე-მოელვარე მკერდს მიუშვერდა და ეუბნებოდა: მთვარეო, ჩაიხედ ჩემს სარკეში და დატკბი შენი სილამაზით. ასე ესიყვარულეობდნენ ისინი ერთმანეთს დილის სხივების გათრენამდე, შემდეგ ერთმანეთს დაშორდებოდნენ და მომავალი შეხვედრისათვის ემზადებოდნენ.

მაღალი მთებიდან დაშვებულმა მდინარემ კურორტ სქური მშვიდად ჩაირა. კურორტის ცენტრიდან ერთ კილომეტრზე მარცხენა ნაპირიდან ჭანისწყალს შეუერთდა კამკამა, ვერცხლისფერი ანკარა მდინარე წისქვილარა, რომელიც წელიწადის ნებისმიერ დროს, დარშიც და ავდარშიც, თავის ბრწყინვალეობას ინარჩუნებს და ფერმეუცვლელი ეხუტება მდინარე ჭანისწყალს და ერთად აგრძელებენ გზას ბოლო გაჩერებისაკენ. მთებსა და ლოდებს დასხლტომილი ჭანისწყალი და წისქვილარა მედანიისა და ჯგალის მიდამოებში გაივსებენ და უფრო განიერნი განაგრძობენ გზას. საჩინოსთან მათ ასევე უერთდება წყაროს წყალი სუფთა და ანკარა ინწირა სამი მზინვარე მდინარის ერთად შეერთებასთან დაკავშირებით საზიგმო განწყობას ქმნიან და სამაიას ცეკვით ქალაქის ცენტრისკენ დაეშვებიან. ქალაქის მიახლოებასთან დედა მდინარემ, როდესაც პირველი ხიდი ნარნარით გამოიარა და მარჯვენა ნაპირს გახედა გაშეშდა, ნაპირზე მიმობნეულმა ნა-

გვის გროვამ სუნთქვა შეუკრა, იფიქრა, ალბათ ან მომელანდა ან შეცდომა მოსვლიათო და თვალეები მიწკურა მეორე ხიდი რომ დატოვა, თავის მოლანდებაში დარწმუნებულმა, თვალეები გაახილა, მაგრამ რას ხედავს ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე ნაგვეების მთელი გროვა აღმართულიყო, ისევე მიწკურა თვალეები, უნდოდა რაც შეიძლება მალე გასცლოდა აქაურობას და გზა აფორიაქებულმა განაგრძო. მესამე ხიდი გაიარა, მარჯვნივ მოუხვია, კლდეებზე, ლოდებზე ცოცვას მიჩვეულმა სქვამის „ტომბასთან“ ტინზე მკერდით სასიამოვნო შეხება იგრძნო. თვალეები გაახილა და გულზე მოეშვა, უკან მოიხედა და ზევით კედრის აქორჩილი ტყე რომ დაინახა, სიხარულით ცას ენია. დაწყნარდა, შეისვენა, თითქოს ყველაფერი რიგზეაო, მაგრამ უცებ გაახსენდა შუაგულ ქალაქში ნანახი სიბნელოვანი ქალაქისკენ მოტრიალდა და მძინარე წალენჯიხელებს შესძახა: ეჭვი, წალენჯიხელებო! ეს რა ჩაგიდენიათ, დედამდინარე, რომელიც თქვენი საფიცარია, ღამის სანაგვე მდინარედ გიქცევიათ და მისი ხილვა ჩვეულებრივ მოვლენად გაგიხდიათ! ან დიდები რატომ ანაგვიანებენ ჩემს ბროლისფერ მოკამკამე ტალღებს, ან მთელი ზაფხული ჩემს ტალღებზე მონავარდენ და შეუპოვარი ახალგაზრდები რატომ დუმს? მაგრამ პასუხს არ დაელოდა, იცოდა, რომ დიდებიცა და პატარებიც ორივე დამნაშავე იყო. ისევ ზღვისკენ მიტრიალდა და გზა განაგრძო, ცოტა ხანში მის გვერდით ეგრისის მთებიდან დაშვებულ ვერცხლისფერ მდინარე ხობისწყალს მიენდო, მაგრამ ქალაქში ნანახმა თავი ისევ შეახსენა ცუდ გუნებაზე დააყენა. რამდენიმე საათი ერთად იარეს, შავ ზღვამდე მიაღწიეს, მისი ბებერი გულმკერდის დღევას შეუერთდნენ და მსოფლიო ოკეანეთა ტალღებში გაუჩინარდნენ.

თამაზ ლუკაძე

## დეკნილის დღიურიდან

### მ. გაბელია


**მიქიმი გზა აფხაზეთიდან სამეგობრომდე**  
 დილა გათენდა ჩვენთვის ურიგო, მშვიდი ცხოვრება ტანჯვამ შეცვალა. ომი დაიწყო ჩემს ლამაზ მხარეს, — ტყვიით არბევდნენ იქ სილამაზეს. ჩვენი სახლები თვალწინ ინვოდა, მძიმე ცხოვრება წინ მიგვიძლოდა. ნარუშლელია ის ბოლო კადრი: მიტოვებული, დამწვარი სახლი. ტყვიის წვიმაში სოხუმს ვტოვებდით, მშობლების გვერდით ჩვენ ორნი ძმანი.

ნათესავებიც შევეგროვდით ერთად, ყველას თვალეებში ცრემლები ედგათ. ყველა ტოვებდა ბუდეს საკუთარს, ყველა ტოვებდა ნაღვანლს, ნაოფლარს. მძიმეა ხვედრი, ეს მწარე ხვედრი, ჩვენი ცხოვრების განვლილი წლები. გეზი ავიღეთ სამეგრელოსკენ, წინ ბარიერი გველოდა ბევრი. სვანეთის მთები, ხიფათი გზები, ჩვენ დაგვრჩენოდა რწმენა, იმედი... სვანეთში ბევრი თბილად გვხვდებოდა, როგორც შეეძლო, ისე გვშველოდა.

ახლაც კი მახსოვს იმ ვაშლის გემო, მან რომ მაჩუქა და სხვებსაც ერგო. სამი წლის ბავშვი ვიყავი მაშინ, არ დამიკარგავს მაღლობის ფასი. მაღლობა მითქვამს და მის თვალეებში, დაუნახიათ ნათელი ცრემლი, სპეტაკი ცრემლი მაღლიერების. სვანეთშიც ბევრმა აღარ დაგვინდო: დაგვიძარცვეს, გვლანძღეს... ტყვიაც გვესროლეს, დაღად დაგვასვეს. ჩვენს დაჭრილ გულეებს აღარ უყურეს, ოცდაათ ვერცხლად გაყიდდნენ სულელებს. ვაი, ისეთ სვანს და ისეთ ქართველს... ვინც გაჭირვებულს აგინებს ასეთს. დედის გულმკერდში ძლიერ ჩაკრულმა,

ასე ვიარეთ რვა დღე და ღამე. მაღლობა უფალს სიცოცხლისათვის, იმ გადარჩენილ მწარე დღისათვის!  
**ხეთა, 3 მარტი, 2010 წ.**  
 \* \* \*  
 თანდათან ვხედავ მძიმდება გული, დღეები დგება სულ უფრო რთული. ღამეებს ფიქრში ვათენებ თეთრად, გვირაბის ბოლოს შუქს აღარ ვხედავ. სუნთქვაც არ მინდა უქმად გაგრძელდეს, უაზრო სუნთქვა ხრჩობის ღირსია. მაგრამ უაზროდ ლოდინი მინევს, რადგან ბევრი რამ არ შემიძლია... ოცნება ისევ ოცნებად რჩება,

არავინ იცის რა როგორ ხდება. უფალი მმატებს ყოველთვის ძალას, რომ პატივი ვცე მშობლების ამაგს... მიზანი ჩემთვის მხოლოდ ერთია, დედა ღმერთია, მამა ღმერთია!  
**თბილისი, 2010 წ. 25 აპრილი.**  
 \* \* \*  
 ძალა მომეც მაცხოვარო, რწმენით ვზილო წმინდა ჯვარი. შემენიე ზეციერო, რომ დავწერო მე მართალი. მინდა გულით გემსახურო, მოვიხადო ჩემი ვალი, მუხლმოყრილი გვედრები, აუხილო ბრძმებსა თვალის. ბევრი წინ ვერ იხედება, გონება აქვთ სულ გამქრალი.  
**თბილისი, 2010 წ. 4 აპრილი.**



დავით ჯიჯია

მეგრულ-ქართული სალექსიკონო მასალები (გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ნოჯისური“ № 18, 19, 22.

3

ვადმანჯირე — ვერ დაენგები ვათანძარა — გლახა ვალი — ელვა ვამალინე — ვერ წავალ ვანათ — აუცილებლად ვანაფერო — იშვიათად ვანი — რომ ვარა — ან ვარენო — არ არის? უკეთუ ვართი — არც ვართო — რომ ვარი — უარი ვარკალი — ვარგ — არა

ვარჩხილი — ვერცხლი ვე — მინდორი ვედა — ნუ წახვალ ვედგ — არ წავიდა ველგ — არ ამოვარდა ველუა — ბრწყინვა ვეპალუ — არ მოიპოვება ვერნემი — დიდი ვესისონდ — არ ინძრევა ვეცი — არ იქნება ვეშილებე — არ შეიძლება ვეჩ — ვერ გამოვკვებეთ ვეჭარე — ვერ მოვესწარით ვითული — ათეული ვინდარო — ადრე, ვიდრე ვირვილი — ტრიალი ვორწყექ — ვხედავ

ზ

ზადუა — კაზმვა (საქმლის) ზალამი — სურვილი ზანთუა — განყრომა ზარდუა — დატკეცა ზაფანა — პილპილი ზგირტგ — მოლიპული ზგუმონჯილი — დაგრეხილი ზე — გზათ ზეზა — გაზავება ზელი — დაზელილი ზეპუა — (ზორთუა) — გალახვა ზეპუ — ბლომად არის ზესქვი — შაშვი ზეფერი — გზა

ზვირთუა — განწევა ზინდუა — განწევა, გაჭიმვა ზირზინი — ხმაურობა ზირტიკი — ზარმაცი. ზირუა — მობოჭვა, შეკრება ზისქე — მლაშე, სქელი ზისხირი — სისხლი ზმოთი — ხმაურობა ზოთონჯი — ზამთარი ზოჯუა — ბრძანება ზურა — ლაჩარი ზლოდაფა — დახოცვა

თ

თაკარი — ალი თაკილი — იჭვი თანაფა — აღდგომა თანგუა — ჭრა თანთალერი — თეთრი თანჯა — საზღვარი თარი — საღი თარნაკი — ეშმაკი თარნუკი — თარსი — გამოცდილი; ნავსი თარლია — ამკარა, დასანახი თარჩია — ჯირითი თარხვანტია — დიდგულა თაქი — აქ თაქიანი — აქაური თაქიშა — აქამდე თახაშხა — სამშაბათი თახმას — ნამდვილად თახმი — ნამდვილი თახუა — დღევნა

თეეთ — დღისით თეთი — ამით, ესეც თელი — ცოცხალი, მთელი თემშარა — საზოგადო გზა თენა — ეს თეჯგუა — ასეთი თვალუა — მოთქმით ტირილი თირთვალი — ხორციანი თი — ის, იმ თია — წილი თიზმა (თისხი) — იმდენი თითი — ისიც თითხ — თხელი თიი — ოჯახი თინა, თინეფი — ის, ისინი თინგალი — ამაცი, იხ. ჩინგალი თინილი — გასწორებული თინუ — სწორი თინუა — გასწორება თინჩი — დინჯი, წყნარი თირთინი (თირინი) — ჩქარი ლაპარაკი

თერი — თოვლი თირუა — ცვლა თირქუა — ბლომად სმა თირხალი — მაგარი თიფი — თილი — მამალი ცხვარი თიში — მისი თინკალა — მაშინ თოთმაცი — ეშმაკი თოთო — ქორფა თოლიში დოყოთამა — თვალის ჩაკვრა

თოლუჯალა — თვალყურის გდება თოფური — თაფლი თოჭუ — ბრმა თუ — გოჭი თუდო — ძირს თუდონი — ქვემოთური, ქვედა თუთა — მთვარე, თვე თუთაში — ბნელა თუთქუა — დაწვა თუნთი — დათვი თუნთური — დათვური თგნც — თოვს თური — გვარი, ტომი თუთაშხა — ორშაბათი თუხუა — რთვა თქვარშალი — ფრქვევა თქვეშაფი — იხ. რეფაფი თქუთქუა — გალახვა თხითხუ, თითხ — თხელი თხიირი — მათხოვარი თხილუა — დარაჯობა თხირი — თხილი თხირინი — ფრუტუნი თხირიში — შფოთი თხოველი — ჯაშუში თხოველუა — ჯაშუშობა თხოზინი — დევნა თხოლო — თხლე თხუშუ — თხმელა თხუშური — ჩირქი თხუალა — თხოვნა (გაგრძელება იქნება)

სსოპვა



დიდი ქართველი მწერალი — ოტია იოსელიანი სიტყვით გამოდის წალენჯიხაში. მარცხნივ დგანან: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელი მამუკა ქარდავა, მოქანდაკე უშანგი ქადაგიშვილი. წალენჯიხა, 10 ოქტომბერი, 2009 წ.

კაცი — ლეგენდა

ოტია იოსელიანის ხსოვნისადმი

იყო ცოცხალი ლეგენდა, ცის ცისარტყელად მკვალავი, — ვაგლახ, ვარსკვლავთა ცვენაში მოჰყვა სხივმფენი ვარსკვლავი... ხშირად მავანი გესლავდა, რადგან ერის მწედ ვიდოდა, —

გულში დარდები ელაგა, გულიც დარდისგან სტკიოდა. კუმტად უბღვერდა ახლანდელ შაჰ-აბასებს და მურვანებს, — ნაპერწკალს ყრიდა თვალთავან, ბრაზისგან სახემჭმუნვარე... ქვეყნის მტერი და დუშმანი სულ მუდამ გაუშოლტია, — პირბასრი ხმალი ქარქაშში არ ჩაუგია ოტიას... სვანური ქუდი ეხურა, ქუდი ეხურა ნამუსის, —


კაცურკაცობით ქებული ჩირაღდნად ენთო მამულში. ჭირივით ეჯავრებოდა ყველა ბილნი და მუტრუკი, — ხელში ეჭირა მუბივით პირგაკავამული მუნდმტუკი. რა ცოტა დარჩა გამტანი. როს ქვეყნის გულობროტია, — მონებმა შიშით სატანის ვერ დაიტირეს ოტია... ან რას რგებს მონის ცრემლები პატრონს რაინდულ სულისა, — მონებს კი მართებთ აწვიმონ კურცხალი სინანულისა. მჯერა ქართველთა სამყოფი ვიდრემდის ეშაფოტია, — ვით ლომი ტყვიანაკრავი, ვერ მოისვენებს ოტია... იგი არავის არ ჰგავდა მანერით, ჩაცმა-დახურვით, — უპირველესად ის მაინც იყო სამშობლოს მსახური, და სულს უდგამდა შედეგრებს: რომანს, ნოველას, მოთხრობას, — სამშობლოს ბედი უბედო მძიმე ტვირთივით მოჰქონდა... სიტყვაც ჩვეოდა კვიმატი და გამგმირავი სატირა, — სხვებზე მეტადრე ხედავდა სავაგლახოს და სატირალს. იქნება გული გაუსკდა უგულო ბრბოსთან ჭიდილში, — ვისაც არ შერჩა კაცობა,

სიყვარული და ღვთის შიში. ის გახლდათ უფლის რჩეული, ღმერთს არაფერი ეშლება, — ზეციურ საქართველოდან კვლავ მამულს შეეშველება. მისი სიკვდილი ვინა თქვა, მას ვერ ვუნოდებთ აღსასრულს, — სიკვდილი რაფერ მისწვდება უკვდავებაში გადასულს. გზა ბრძოლით გამოუვლია, იყო მხნე, გულუშიშარი, და სადაც დაკრძალულია, — სწორედ მთანმინდაც იქ არის... მარადიულად დარჩება დაჩი და „დაჩის ზღაპრები,“ — მთები ნისლეტში ცურავენ

ცად აშვებული აფრებით... ვინც უკვდავების გზას ადგას, თავადაც უფლის ტოლია, — უკვდავი ძეგლი თავის თავს თვითონ დაუდგა ოტიამ. ჩვენს კუთხეს ხშირად სტუმრობდა, თუმც იდგა ჟამი შავ-ბნელი, — ვერ მოისვენა ვიდრემდე ძეგლად არ იშვა გრანელი... ამაღლდა პიკზე დიდების, გვირგვინად დაფნის ტოტი აქვს, — ამქვეყნად კიდით კიდემდე ლეგენდად ივლის ოტია.

რინოს კვარაცხელია. 14 აგვისტო, 2011 წელი.

გახსენება



პავლეს!

ულვთო სიკვდილი შენი, გულში იარის მჩენი, სული, სულეთის მშვენი და უმწეობა ჩვენი... ტკივილის იმ დიდ აფრებს ფიქრი ქარივით არხევს, ვინ გაგვიქარვებს ნალველს, ჩვენგან უდროდ რო წახველ. ეშმაკისეულ ქადილს ნეტა, სანამდე ვსდითო?..

მის დასათრგუნად დადის შენი პატარა გიო!.. გვნამს, ზეციურში შენი სული რომ დაივანებს; ზედაშეს, იმ შენს საფლავს, კვლავ მოვაპკურებთ, პავლე! არა გგვონია, ვეჭვობთ, — ბნელი დაჯაბნის ნათელს... ჩვენ, შენს საფლავზე, ბიჭო, აგინთებთ თაფლის სანთელს!..

თანაკლასელები. X. 2011 წ.

ნოჯისური

რედაქტორი — ვალერი ქაქაშია

„ნოჯისურის“ მისამართი: წალენჯიხა — ობუჯი ლეო ქიაჩელის №36. ტელ: 790 16-96-22; 790 87 83 94

გამოიცემა 2005 წლის ოქტომბრიდან

ანყობა და დაკაბადონება — თია მიშვილია

ტელ: 555 49-22-07



გელათში, საყვარელი მწერლის ცხედართან წალენჯიხელებს მიაქვთ გვირგვინი წარწერით: „დიდ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, ბატონ ოტია იოსელიანს მაღლიერი წალენჯიხელებისაგან.“ მურმან ქარდავა, გია ღვინჯილია, ლაშა ზარქუა, გიორგი ხარჩილავა, ჯუანშერ მეზონია, ლაშა კანკია, თამაზ ფიფია. 19 ივლისი, 2011 წ.